# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 6 ნოემბერი 2002 №211 (1733) | ფასი 50 თეთრი




REUTERS ფოტოქრონიკა

# წავიდა! მაკარტი სინდისმა შეაწუხა

მიკ მაკარტი გადადგა. ესე იგი, გაისად, 29 მარტს, ირლანდიის ნაკრებს თბილისში ახალი მწვრთნელი ჩამოიყვანს. ვინ, ჯერ უცნობია — მაკარტის წასვლის თაობაზე თხოვნას ჯერ მელანი არ შეშრობია და მემკვიდრის საკითხი ასე უცბად, ცხადია, ვერ გადაწყდებოდა.

დიახ, მიკ მაკარტი თავად გადადგა. ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციას ხვალ თუ არა, ზეგ შეიძლებოდა ისედაც გაეშვა — რუსეთთან და შვეიცარიასთან მარცხი იქაურთათვის იოლად შესაგუებელი არ იყო, მაგრამ ახლა ველარავინ იტყვის, გაუშვესო. მიკ მაკარტი იქამდე წავიდა, სანამ ხალხი გინებას დაუწყებდა.

სამი კვირის წინ, შვეიცარიასთან მარცხის მერე მაკარტის ყურს კრიტიკა მისწვდა და იგრძნო, რომ წასვლის დრო დაუდგა. ამჯობინა, ხალხისთვის წარმატებულ ფეხბურთელად და მწვრთნელად დარჩენილიყო. მსოფლიოს ჩემპიონატზე ირლანდიელთა უდიდესი მიღწევა 1990-ში მეოთხედფინალში გასვლაა და მაკარტი იმ გუნდის კაპიტანი გახლდათ. ახლა კი, კორეა-იაპონიიდან დაბრუნებულს ირლანდია ეროვნული გმირივით დახვდა. მაგრამ ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა, ხალხს ძველი გმირი სტვენით გაეცილებინოს?! ეს უმადურობა არაა, უბრალოდ, კაცს დროზე წასვლაც უნდა შეეძლოს.

დღეს არ ვიცით, ვინ ჩამოუძღვება ირლანდიელებს თბილისში და ჩამოვა თუ არა მაკარტისგან მოძულებული როი კინი. მათი წასვლიდან ოთხი დღის მერე კი თბილისშივე შვეიცარიელებს ვმასპინძლობთ და ჩვენს ფედერაციას შემოუთვალეს, ახალგაზრდული და ეროვნული გუნდები ერთ დღეს შევახვედროთო. ფედერაციამ დასტური მისცა. დიდად საბჭო და საკამათო საკითხი არ ყოფილა.

## დინამო შუშაკი

### შევეცდებით გავხსნათ და შევინარჩუნოთ ანგარიში





## ვიტ ჯორჯია კარნევალი

### გაგვიტანს დინამო? ორით ვუპასუხებთ!



## იტალია

**სერია B**
**I გადადებული ტური**

ანკონა 1:1 ვერონა
ბარი 0:0 ტრიესტინა
კალიარი 1:0 ვენეცია
კატანია 0:2 ნაპოლი
კოზენცა 1:2 პალერმო
სალერნიტანა 1:2 ასკოლი
სიენა 0:0 ლეჩე
ტერნანა 1:0 მესინა
ვიჩენცა 1:0 ჯენოა

## ინგლისი

**ლიგის თასი. 1/16 ფინალი**

ბირმინგემი 0:2 პრესტონი
უიგანი 1:0 მანჩესტერ სიტი
უიმბლდონი 1:3 როტერჰემი
მანჩესტერ იუნ. 2:0 ლესტერი

## შოტლანდია

**ლიგის თასი**
**1/8 ფინალი**

სენტ ჯონსტონი 0:1 ლივინგსტონი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

არბროთი 1:1 აირი

## უკრაინა

**უმაღლესი ლიგა**
**გადადებული მატჩი**

კარპატი 0:0 დინამო

## გერმანია

**თასის 1/16 ფინალი**

ჰოფენჰაიმი 1:5 კიოლნი
უნტერჰახინგი 1:0 უნიონი
ობერჰაუზენი 1:0 არმინია
ფრაიბურგი 3:0 დორტმუნდი
მიუნხენი 2:2დ.დ. (პენ. 8:7) ვოლფსბურგი
ჰამბურგი 2:0 დუისბურგი
ჰანზა 1:0 აინტრახტი

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩი**

მიუნსტერი 2:2 ვერდერი (მ)

## ჰოლანდია

**თასის 1/16 ფინალი**

ვეენდამი 0:5 როდა
ზვოლე 1:0დ.დ. (0:0) ჰელმონდი
იგლსი 2:3 ალკმაარი
მაასტრიხტი 3:3დ.დ. (პენ. 5:4, 3:3) ოსი
ექსელსიორი 1:0 დორდრეხტი
აიაქსი (II) 3:2დ.დ. (2:2) ჰუიზენი
აპელდორნი 1:0დ.დ. (0:0) ვოლენდამი
ჰოეკი 1:2 ნაიმეგენი
მაასლუისი 2:3 როზენდალი
დატელნეტი 2:3 სპარტა

## ესპანეთი

**თასის 1/16 ფინალი**

ნოველდა 0:3 ტერასა
ერკულესი 0:0 (პენ. 3:4) მალიორკა
ფეროლი 3:4 დეპორტივო

## კალათბურთი

# ულების თასი

**ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 5 ნოემბერი**

**A ჯგუფი**

ხუვენტუდი 77:69 სნაიდერო
ურალ გრეიტი 96:84 ტელეკომი
ფუენლაბრადა 78:87 გრაველინი

**B ჯგუფი**

როზეტო 89:76 პივოვარნა
ჭოლიზნიკი 92:52 ოსტენდე

**C ჯგუფი**

დარუშაფაკა 84:79 შალონი
პრაკა 85:75 რეინი
ესტუდიანტესი 121:76 ტრიესტი

**D ჯგუფი**

ვარეზე 81:76 შოლე
ლეიდა 87:77 ზადარი

## ჭადრაკი

**მსოფლიო ოლიმპიადა. ბლედი (სლოვენია)**

მე-10 ტური

**ვაჟები**

საქართველო — ჰოლანდია 2,5:1,5 (ზურაბ აზმაიფარაშვილი — ვან ველი ლოეკი 0,5:0,5, მიხეილ მჭედლიშვილი — ივან სოკოლოვი 0,5:0,5, ზვიად იზორია — სერგეი ტივიაკოვი 0,5:0,5, მერაბ გაგუნაშვილი — ერიკ ვან დენ დოელი 1:0); რუსეთი — ჩინეთი 3:1; უნგრეთი — ბოსნია 2,5:1,5; ინგლისი — ინდოეთი 3:1; ხორვატია — სლოვაკეთი 2:2; უკრაინა — პოლონეთი 2,5:1,5; სლოვენია — ლუქსემბურგი 3:1; გერმანია — ჩეხეთი 3,5:0,5; საფრანგეთი — ისრაელი 2:2; შვედეთი — სომხეთი 2,5:1,5

**ქალები**

საქართველო — უნგრეთი 2:1 (ნანა იოსელიანი — შიდონია ვაიდა 1:0, ნინო ხურციძე — ელენა დემბო 0,5:0,5, ქეთევან არახამია — ნიკოლეტა ლაკოში 0,5:0,5); საბერძნეთი — ჩინეთი 0,5:2,5; ინდოეთი — რუსეთი 1:2; აშშ — სლოვაკეთი 2:1; შოტლანდია — სლოვენია 1:2; პოლონეთი — ყაზახეთი 2:1, ბულგარეთი — უკრაინა 1,5:1,5; ვიეტნამი — იუგოსლავია 1,5:1,5; გერმანია — საფრანგეთი 2:1; ესპანეთი — რუმინეთი 0:3; ხორვატია — სომხეთი 0,5:2,5; უზბეკეთი — ჩეხეთი 2:1; ბელარუსი — ინგლისი 2:1; ჰოლანდია — ვენესუელა 1,5:1,5

**სატურნირო ვითარება**

**ვაჟები**

1. რუსეთი (28,5 ქულა) 2. უნგრეთი (27,5) 3. ინგლისი (26) 4. გერმანია (26) 5. საქართველო (25) 6. ბოსნია (25) 7. ჩინეთი (25) 8. უკრაინა (25) 9. ხორვატია (25) 10. სლოვაკეთი (24,5)

**ქალები**

1. საქართველო (24) 2. ჩინეთი (21,5) 3. აშშ (20,5) 4. რუსეთი (20,5) 5. რუმინეთი (19) 6. პოლონეთი (19) 7. უნგრეთი (18,5) 8. გერმანია (18,5) 9. სომხეთი (18,5) 10. ბულგარეთი (18)

**2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი**
**ჩვენი მეტოქე**

# შვეიცარიას ერთ დღეში გავისტუმრებთ

**შვეიცარია**

**საქართველოს** ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები მომავალ წლამდე უქმობენ. მერე ოფიციალურ შეხვედრებში პირველი მეტოქე ირლანდიის ნაკრებია. მისი გასტუმრებიდან ოთხ დღეში კი შვეიცარიის გუნდებია სამასპინძლო. ჰოდა, შვეიცარიელებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსი გამოაგზავნეს, ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები ერთ დღეს, 2 აპრილს შევაჯიბროთო.

ქართული ფეხბურთის მესვეურებმაც მომავალ მეტოქეს დასტური შეუთვალეს, იყოს 2 აპრილიო. ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას განცხადებით, ახალგაზრდული ნაკრების თამაში ოთხ საათზე დაიწყება, ხოლო ეროვნულები ან ცხრის ნახევარზე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ანაც ნახევარი საათით გვიან.

ჩოლარიასავე თქმით, მატჩამდე ორი თვით ადრე ფედერაცია იმ ქალაქის ვინაობასაც დაასახელებს, სადაც თამაში ჩატარდება, ხოლო ერთი თვით ადრე სტადიონს ვაცნობებთ შვეიცარიელებსო. ისე, ცოტა უცნაური კია, განა რამდენი საფეხბურთო ქალაქი და სტადიონი გვაქვს ისეთი, რომელიც უეფას მოთხოვნებს პასუხობს და სადაც იქაური ჩინოსნები შვეიცარიელთა მასპინძლობის ნებას დაგვრთავენ.

**გამუკა ძგანტალიანი**

# გაზაევი არმიაში რჩება



**რუსეთი**

**რუსეთის ნაკრების** მწვრთნელი ვალერი გაზაევი მოსკოვის ცესკას დატოვებას არ აპირებს და ამ კლუბთან ერთად დიდი წარმატებებისა ეიმედება.

მოგეხსენებათ, როცა ზაფხულში გაზაევს ეროვნული გუნდი ჩააბარეს, მაშინვე ერთი ამბავი ატყდა, მწვრთნელს ნაკრებსა და კლუბში ერთდროულად მუშაობა გაუჭირდებაო. ჩვენი რუსი კოლეგები დაჟინებით მოითხოვდნენ, გაზაევი ან ნაკრებში დარჩენილიყო, ანაც მხოლოდ ცესკასთვის მიეხედა. ჟურნალისტთა აზრს რუსი ფეხბურთის სპეციალისტებიც იზიარებდნენ და ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელებს მოუწოდებდნენ, თუ გაზაევი არმიულ კლუბს არ დატოვებს, ნაკრებს ნულარ ჩააბარებთო. მიუხედავად ასეთი საზოგადოებრივი აზრისა, რუსული ფეხბურთის მამებმა გადაწყვეტილება არ შეცვალეს, თუმც კი თავად ვალერი გაზაევმა თქვა, ეს სეზონი მაცალეთ, ცესკასთან ერთად ქვეყნის ჩემპიონატს ჩავამთავრებ და მერე მხოლოდ ნაკრებში ვიმუშავებო.

ისიც მოგეხსენებათ, ახლა ცსკა-ს რუსეთის ჩემპიონობის რეალური შანსი რომ მიეცა, აღარაფერს ვამბობთ ჩემპიონთა ლიგის საგზურზე, გაზაევიც უკვე სხვანაირად ალაპარაკდა და გუშინწინ განაცხადა, კლუბის დატოვებას არ ვაპირებ, ამაზე არც კი მიფიქრიაო. გაზაევს, რომელიც არმიელებამდე მოსკოვის „დინამოს“, „ალანიასა“ და რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა, ჩანს, გაუტკბა არმიულ კლუბში მუშაობა, მით უმეტეს, როცა საქმეები არც ეროვნულ გუნდში მისდის ურიგოდ. გაზაევის ხელმძღვანელობით რუსეთის ნაკრებმა ორი ოფიციალური მატჩი ითამაშა და ორჯერვე მოიგო.

**ლუკა თალაკვაძე**

# ფედერაცია დააყადაღეს და სასამართლოში დაიბარეს

**20 ნოემბერს** ფეხბურთის ფედერაციის ხელისუფალთ კიდევ ერთი სასამართლო პროცესი ელით. სარჩელი ძველი და საფეხბურთო საზოგადოებისთვის ნაცნობია და ფედერაციის იმ ლოგოს უკავშირდება, რომელიც დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის პირველი თავკაცის, ცხონებული ნოდარ ახალკაცის დაკვეთით ემირ ბურჯანაძემ შექმნა.

ლოგოს ავტორი ფედერაციას მას აქეთ აუმხედრდა, რაც „ლოტოს“ ფირმის სპორტულ ინვენტარზე უცხოური ფირმის მიერ ამოტვიფრული მისი ნახელავი იხილა. ასოები დამახინჯებულია, თანაც ფედერაცია ეროვნული გუნდის მაისურებს ყიდის და არ მიფოფსო.

მოსარჩელე მხარემ მორალური და მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად 500 ათასი დოლარი მოითხოვა. ფედერაციამ, რა თქმა უნდა, თავისი უბრალოება დაიჩემა — არც ლოგოს დამახინჯებაში მიგვიძღვის ბრალი და არც მაისურები გაგვიყიდიაო.

სასამართლომ საქმე გაარჩია, ორივე მხარეს მოუსმინა და ვერდიქტიც გამოიტანა. ფედერაციას ლოგოს ავტორის სასარგებლოდ წარწერის დამახინჯებისთვის 5 ათასი ლარის გადახდა დააკისრეს.

რაოდენ უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, განაჩენი ორივე მხარემ გაასაჩივრა. მოსარჩელეს 5 ათასი ეცოტავა. ხოლო მოპასუხემ, თეთრის გამღები არ ვარ, არაფერი დამიშავებიაო.

არ არის გამორიცხული, 20 ნოემბერს გამოტანილმა განაჩენმაც არ დააკმაყოფილოს მოდავენი და საქმის საბოლოოდ დასრულებას კიდევ ერთი სასამართლო პროცესი დასჭირდეს.

ფედერაციის პრობლემა ამით არ ამოიწურება. მის საბანკო ანგარიშს ისევ ყადაღა ადევს, არადა, ძველი ვალებიდან, თითქმის 600 ათასის გადამხდელ ორგანიზაციას 50 ათასიღა დარჩა გასასტუმრებელი.

ქართული ფეხბურთის თავკაცები აცხადებენ, 12 ოქტომბერს საქართველო — რუსეთი რომ არ ჩაშლილიყო, ვალი აღარ გვექნებოდაო. არც დარჩენილი საურავის გადახდას უარობენ, მაგრამ როგორც ადრე ახლაც გარკვეული გრაფიკის დაწესებას მოითხოვენ. დააკმაყოფილებთ თუ არა, ან რას იტყვიან ფედერაციის თხოვნაზე საგადასახადო ინსტანციაში, ამას მოგვიანებით გავიგებთ.

**გამუკა ძგანტალიანი**



REUTERS-ის ფოტო

ვალერი აბრამიძემ და „სპარტაკმა“ ევროპას ხელი დაუქნიეს

**ჩემპიონთა ლიგა 2002-2003**
**პირველი ჯგუფური ეტაპი. V ტურის გადადებული მატჩი**

**B ჯგუფი**

**სპარტაკი 0:2 ბაზელი**

0:1 როსი (17), 0:2 ხიმენესი (89)
სპარტაკი: ლევიცკი, კოვტუნი, კეში (მიტრეიკო 78), მოიზესი, აბრამიძე, ხლესტოვი, კალინიჩენკო (ტორბინსკი 71), ბეზროდნი (კუდრიაშოვი 46), პავლენკო, ბესჩასტნიხი, დანიშევსკი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
ბაზელი: ცუბერბიულერი, ჰაასი, მ. იაკინი, ცვისიგი, დუროუზი, კანტალუპი, ქაპონისტრი (ატუბა 15), ჰ. იაკინი, ერგიჩი, როსი (ხიმენესი 68), ტუმი
მწვრთნელი: კრისტიან გროსი
მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)
8 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 5 | 4 | 1 | 0 | 14:4 | 13 |
| ბაზელი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:9 | 8 |
| ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 9:5 | 7 |
| სპარტაკი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:15 | 0 |


# იყიდება უნიკალური წიგნები

ანტონ კათალიკოსის „ქართული გრამმატიკა“ (1885) და „მზა-მეტყველება“ (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია“ (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული“ (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები.
ტ. 30-75-81



# გაგიტან ერთს, გაგიტან ორს

## კარნევალი შუშაკს ბრაზილიურ კარნავალს ჰპირდება





**დღეს** „დინამო“ — „ვიტ ჯორჯიაა“, ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურისა და პირველი ეტაპის ცენტრალური მატჩი. სწორედ „ვიტ ჯორჯიაა“ ის ერთადერთი გუნდი, წლეულს ეშხიანად მობურთავე ათგზის ჩემპიონი რომ დაამუხრუჭა მეოთხე ტურში. პირველი წრის იმ მატჩში ვეტერინარებმა ბოლო წუთზე გაატანეს ქულა შუშაკის ბიჭებს. „დინამო“ მას შემდეგ ქულადაუკარგავია, „ვიტ ჯორჯია“ კი ტრადიციულად ამბიციური და მოსაგებად შემართული.

საძნელო საქმეა, მაგრამ თუკი ვეტერინარები დღეს გაიმარჯვებენ, ერთბაშად ორ კურდღელს დაიჭერენ. სამ ქულამდე ხომ შეამცირებენ ლიდერთან სხვაობას, თანაც „დინამოს“ სინდრომშეყრილ ჩემპიონატს ჯადოს ახსნიან — უძლეველის დამარცხებით „ვიტ ჯორჯია“ მართლაც დიდ საჩუქარს უძღვნის საკუთარ თავს.

მიუხედავად ამისა, ფავორიტი „დინამოა“ — ლიდერი, მასპინძელი, ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული.

საამმატჩოდ საფიქრალი არ აკლიათ მწვრთნელებს. დღეს ხომ გარკვეულწილად ხორვატია-იტალიის დაპირისპირებაცაა. ივო შუშაკი და ჯანი კარნევალი ამბიციური მწვრთნელები არიან, ქართულ მიწაზე მათი შეხვედრა ორივესთვის მნიშვნელოვანია.

კარნევალიმ პირველი რაუნდი გუშინ მოუგო დიპლომატ ხორვატს, ამბიციური, თამამი, „ბრაზილიური“ განცხადებით. შუშაკი პირველი გოლის ფაქტორს ანიჭებს უპირატესობას, ტემპერამენტიანი იტალიელი კი „გაგვიტანთ ერთს, გაგიტანთ ორს“ გაიძახის. სანამ მწვრთნელთა საამმატჩო კომენტარებს გაეცნობით, ცოტა რამ წინასამატჩო ვითარებაზეც ვთქვათ.

„ვიტ ჯორჯიას“ დღეს დიდი ძალა დააკლდება დისკვალიფიცირებული გიორგი ადამიას სახით. სხვა მხრივ, ყველაფერი რიგზეა ვიტელთა ბანაკში.

წინა ტურში „მილანთან“ არ უთამაშია გიორგი ანჩაბაძეს. მაშინდელი ინფორმაციით, ანჩაბაძეს მიკროტრავმა აწუხებდა, თუმცა მისი უთამაშებლობის მიზეზი უფრო შუშაკის გადაწყვეტილებამ განაპირობა — ხორვატმა ანჩაბაძე დღევანდელი მატჩისთვის შემოინახა და სავარაუდოდ გამოცდილი დინამოელი „ვიტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ თავიდანვე ითამაშებს.

**ივო შუშაკი:** „ვიტ ჯორჯიასთან“ შეხვედრა ერთობ მნიშვნელოვანია ჩვენთვის და დიდ ინტერესს იწვევს თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ დერბია. დერბი კი ყოველთვის გამორჩეული და თვალსასეიროა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მატჩი ჩემპიონის ბედს არ წყვეტს, ძალიან ბევრის მომცველია და სიფრთხილე გვმართებს. მე დღემდე არ დამვიწყებია, რომ „ვიტ ჯორჯია“ ის ერთადერთი გუნდია, ქულები რომ დაგვაკარგვინა ჩემპიონატში. მაშინ ამ გუნდმა მართლაც შთამბეჭდავად ითამაშა.

ჯანი კარნევალის გუნდი რთულ მეტოქედ მიმაჩნია. „ვიტ ჯორჯია“ ახალგაზრდული, მხარდი კოლექტივია, კარნევალის თითოეულ სათამაშო რგოლში დიდი არჩევანი აქვს. „ვიტ ჯორჯია“ ყველა მატჩში გულდაგულ იბრძვის და ჩვენ წინააღმდეგ ერთიორად მოინდომებს. აქედან გამომდინარე, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ პირველი გოლის ფაქტორს. ჩვენ ერთიორად წინ წავიგდებთ საქმეს ანგარიშის გახსნით და შევეცდებით, შევძლოთ ამის გაკეთება.

**ჯანი კარნევალი:** „ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს „დინამოსთან“. უძლიერესი მეტოქე გვაყვს დასამარცხებელი. ადამიას არყოფნა ერთი შეხედვით დიდი პრობლემაა, თუმცა მე არ ვფიქრობ ასე. „ვიტ ჯორჯიას“ სოლიდური სათადარიგოთა სკამი აქვს. ადამიას შეცვლა სრულფასოვნად შეუძლიათ ისეთ ფორვარდებს, წუწუნავა, მერებაშვილი და ბერელიძე რომ არიან.

„ვიტ ჯორჯია“ „დინამოსთან“ თავისი კოზირის გამოყენებას უნდა შეეცადოს. ჩვენი კოზირი კი ის არის, რომ თითოეულ მატჩში ერთნაირი განწყობით გავდივართ სათამაშოდ. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს „დინამოს“ ვეთამაშებით თუ „მილანს“, გუნდი ყოველთვის ბოლომდე იხარჯება მოსაგებად. უნდა მოვიგოთ. გაიტანოს „დინამომ“ პირველი გოლი, მატჩი ხომ 90 წუთს გრძელდება, ამ დროში ჩვენ ორს გავიტანთ. „ვიტ ჯორჯიას“ დღესდღეობით აქვს საიმისო პოტენციალი, რომ „დინამოს“ ეფექტური სვლა შეაჩეროს“.

**ბაათა ძგანტალიანი**

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი 14 პირველი ეტაპი 15 ტური

თბილისი. ეროვნული. 6 ნოემბერი. 15 საათი

### დინამო — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: მ. მალაღურაძე, ლ. სილაგავა, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ა. ორჯონიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი
დისკვალიფიცირებული: ადამია (ვიტ ჯორჯია)

გურჯაანი. დავით ყიფიანი. 6 ნოემბერი. 15 საათი

### მილანი — ლოკომოტივი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მჭედლიშვილი, ზ. ჯვარიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია
დისკვალიფიცირებული: კვარაცხელია (ლოკომოტივი)

ფოთი. ფაზისი. 6 ნოემბერი. 15 საათი

### კოლხეთი — სიონი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

თერჯოლა. ცენტრალური. 6 ნოემბერი. 15 საათი

### მეტალურგი — გორდა

მსაჯები: ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა
დისკვალიფიცირებული: ზ. ლაბაძე (გორდა)

გორი. ცენტრალური. 6 ნოემბერი. 15 საათი

### დილა — ტორპედო

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე, ვ. ელისაბედაშვილი (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე
დისკვალიფიცირებულნი: ა. ხმალაძე (დილა), პოროშინი (ტორპედო)

ბათუმი. დინამო. 6 ნოემბერი. 15 საათი

### ბათუმი — მერანი

მსაჯები: ი. კახიანი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში
დისკვალიფიცირებულნი: რომანაძე (ბათუმი), ნაჭყებია (მერანი)



გიორგი ანჩაბაძე (მარჯვნივ) „ვიტ ჯორჯიას“ დღესაც შეუტევს

# აბა, კიდევ ერთი

## კახელებს ზანგები ამხიარულებენ



რაფაელ გალიარდოს დებიუტი, სავარაუდოდ, გურჯაანში შედგება

**დღეს** გურჯაანში ეგებ ისეთი რამ მოხდეს, ადრე ერთხელ რომ გვინახავს — კახეთის გულში დინამოელი კარლოს და როჩას მერე მეორე ზანგი გააგორებს ბურთს, თუმცა იგი პირველი ფეხბურთელი იქნება პერუდან, საქართველოს ჩემპიონატში რომ ითამაშებს.

გურჯაანში „მილანთან“ სათამაშოდ „ლოკომოტივი“ ორი პერუელი ლეგიონერით ჩადის. რაფაელ გალიარდოს და ყმაწვილ დიეგო გონსალესის სატრანსფერო ფურცლებს ელოდნენ გუშინდლამდე რკინიგზელები. ლოდინი კვლავაც გრძელდება, თუმცა მხოლოდ გონსალესის ცნობაზე. ეს ბიჭი ჯერაც უწლოვანია და, როგორც ჩანს, ამ მიზეზით იგვიანებს დასტური პერუდან. რაფაელ გალიარდო კი უკვე ოფიციალურად „ლოკომოტიველია“, კლუბმა მისი გათავისუფლების დასტური გუშინ დილით მიიღო და ფეხბურთელი დაუყოვნებლივ შეიყვანა „ლოკომოტივის“ განაცხადში. რკინიგზელებს თუ ვერწმუნებით, დღეს გურჯაანში შედგება გალიარდოს დებიუტი.

არის იმის შანსიც, რომ „მილანთან“ თანამემამულეს გონსალესიც ამოუდგეს მხარში. ეს იმ შემთხვევაში, თუკი მატჩის დაწყებამდე მისი გათავისუფლების ფურცელსაც მიიღებენ ლოკომოტიველები. გუნდის მენეჯერი ლევან ყიფიანი იმედს არ კარგავს. „ყოველ წუთს ველით პერუდან ცნობას გონსალესთან დაკავშირებით და შესაძლოა, „მილანთან“ მატჩის დაწყებამდე ამ ფეხბურთელის განაცხადში შეყვანა მოვასწროთ“ — გვითხრა გუშინდელი სატელეფონო საუბრისას ყიფიანმა.

თავში კარლოს და როჩა ვახსენეთ. „დინამოს“ გურჯაანში სტუმრობისას მან ერთობ გაამხიარულა კახელები, მაშინ მასპინძელმაც იჟრიამულა და კარლოსმაც ტაში დაუკრა გალაღებულ ქომაგს, ვინძლო მოწყენილობა არც გალიარდოს გამოჩენას მოჰყვეს...

**ბაათა ძგანტალიანი**

ქ. თბილისის მერიის
სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის
ტანვარჯიშულ სახეობათა
ბავშვთა და მოზარდთა
ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლა
აცხადებს
6-8 წლის გოგონების მიღებას
მხატვრული ტანვარჯიშის ჯგუფებში სავარჯიშოდ.
ბავშვებთან იმუშავებენ გამოცდილი სპეციალისტები,
მწვრთნელები, ქორეოგრაფები და აკრობატები.
ჩვენი მისამართია:
კონსტიტუციის ქ. №6 ტელ: 95-62-59 სამს. 32-58-93 ბინა
(ყოფილი „ლენინის დარბაზი")
მწვრთნელი მაია ცერცვაძე

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# არველაძეს რუსებთან გაწყვეტილი შოტლანდიაში გაუმთელეს



**გეხსომებათ**, 12 ოქტომბერს, ვიდრე საქართველო — რუსეთის შესარჩევი მატჩი უშუქობის გამო 45 წუთში შეწყდებოდა, მოედანი შოთა არველაძემ დატოვა. შეხვედრის 20 წუთი რომ მიიწურა, შოტლანდიური „რეინჯერსის" ფორვარდმა შეცვლა ითხოვა და მას მერე აგერ უკვე თითქმის თვეა, მოედანს არ გაჰკარებია. მართალია, „რეინჯერსი" შინაურ ჩემპიონატში მძლეთამძლე სვლას უმასოდაც განაგრძობს, მაგრამ ქართველი თავდამსხმელის სახით ამ გუნდს დიდი ძალა რომ აკლია, ეს „რეინჯერსის" ხელმძღვანელებს არაერთხელ უთქვამთ.

— სრული დატვირთვით ვარჯიში შაბათს განვაახლე, გუნდს შევუერთდი და ნელ-ნელა ფორმასაც ვიბრუნებ. რუსეთთან მატჩის დაწყებიდან ათ წუთში ვიგრძენი კუნთის ტკივილი, მოვითმინე, ვიფიქრე, გამივლის-მეთქი, მაგრამ იმ ეპიზოდში, როცა ბურთი მოედანს გარეთ გადავაგდე, ფეხმა აღარ გამიშვა. თავიდან კუნთი გაჭიმული მეგონა. შევცდი, კლუბის ექიმის თქმით, რაღაც პატარა ნაწილი გაწყვეტილიც კი ყოფილა. სამი კვირა უსაქმოდ ვიყავი, მერე ძუნძული დავიწყე და ახლა აღარაფერი მაწუხებს — გვითხრა შოთა არველაძემ, როცა გლაზგოში დავუკავშირდით — ხუთშაბათს „დანფერმლაინთან" სათასო მატჩი გველის და შემიძლია, მოედანზე გავიდე, თუმც ჯობს, თავი შევიკავო და მომავალ ტურში ვითამაშო.

არველაძის არყოფნაში კი „რეინჯერსმა" ბოლო ტურში სტუმრად ზურაბ ხიზანიშვილისა და გიორგი ნემსაძის „დანდის" 3:0 აჯობა. მასპინძელთაგან ორივე ქართველმა ითამაშა, თუმც პირველ ტაიმის ბოლოს მსაჯმა ხიზანიშვილს ბოლო იმედის ჯარიმისთვის მოედანი დაატოვებინა. არველაძის თქმით, მსაჯი სწორად მოიქცა, რონალდ დე ბური მეკარესთან პირისპირ რჩებოდა, ზურა ბოლო მცველი იყო და როცა ბურთიანმა დე ბურმა გზა გადაუჭრა, ხიზანიშვილი უკნიდან დაეტაკა.

მოკლედ, შოთა არველაძე უკვე გამოჯანმრთელდა და თუ ხვალისთვის თავი შეიკავა, შაბათს „ჰიბერნიანთან" ალბათ ითამაშებს.

**კობა ინასარიძე**

# სევასტიმ და ზურამ წითლად ივახტანგურეს

## კალაძე დაინდეს, ჩალაძე არა

**მწირ ქართულგოლიანი** გამოდგა ევროპაში ეს უქმეები. გოლის გატანა მხოლოდ შალვა აფხაზავამ შეძლო უკრაინულ უმაღლეს ლიგაში. კიევის „არსენალმა" ტრაპაიძე-გიგიაძის „ტავრია" ისტუმრა და 5:0 გაანადგურა. პირველი გოლი კი სტუმრებს სწორედ აფხაზავამ გაუტანა, რაც ჩვენებურისთვის მერვე გამოდგა ამ სეზონში.

ზედიზედ ორმარცხიანი სერიის შემდეგ იმარჯვა „ფრაიბურგმა". ფოლკერ ფინკეს შეგირდებმა კობიაშვილ-ცქიტიშვილის დახმარებით შეძლეს „ზანკტ პაულის" ძლევა. ალექსანდრე იაშვილმა კი კვლავ ვერ შეძლო ფეხის მორჩენა.

საგოლე პასით გამოირჩა გიორგი ქინქლაძე. მისმა „დერბიმ" სტუმრად იძალა „შეფილდ უენსდისთან" და სატურნირო მდგომარეობაც გამოისწორა. ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილი „დერბი" ახლა მეათე ადგილზეა არადა, რამდენიმე ტურის წინ ლამის გასავარდნთა შორის იყო.

უშოთაო „რეინჯერსმა" 3:0 მოუგო „დანდის" სტუმრად. მასპინძელთა ძირითად შემადგენლობაში ამ სეზონში პირველად გამოჩნდა ზურაბ ხიზანიშვილი, რომელიც მსაჯმა 45-ე წუთზე გააძევა. გიორგი ნემსაძე კი მეორე ტაიმში შეცვალეს.

წითელი ბარათი აუფრიალეს სევასტი თოდუასაც „ურალანის" ქართველმა მცველმა ახლახან მოიხადა ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და ძირითად შემადგენლობასაც დაუბრუნდა, თუმც ბოლო წუთზე მსაჯს თავი „გააგდებინა".

რევაზ ძოძუაშვილის შეგირდებმა ვერაფერი გააწყვეს მოსკოვის „ტორპედოსთან", რომელმაც ამჯერადაც უქართველოდ ითამაშა — ედიკ საჯაია მყარად დამკვიდრდა სარეზერვო გუნდში.

პირველ დივიზიონში კი სეზონი დამთავრდა. „რუბინმა" უგოლოდ და უქართველოდ დაასრულა გათამაშება, რამაც დავით ჩალაძეს ბომბარდირობაში მოზიარე გაუჩინა. ჩერნომორეცელმა ვიაჩესლავ კამოლცევმა ორი გოლი გაუტანა „კრისტალს" და ჩალაძეს გაუთანაბრდა.

ამ ტურში ერთი საინტერესო ამბავიც მოხდა. პაატა ბერიშვილის „ფაკელს" შინ „ვოლგართან" უნდა ეთამაშა, თუმც სტუმრებს ვორონეჟში გაფრენის წინ თვითმფრინავი გაუფუჭდათ და.. მატჩი ჩაიშალა. სავარაუდოდ, „ფაკელს" 3:0 ტექნიკური მოგება ჩაეთვლება.

„ბებერი ხარის" რქების ღრჭიალი გაისმა კვიპროსში. თემურ ქეცბაიამ ნიქოზიის „ომონიას" გოლი ვერ გაუტანა, მაგრამ მეტოქის ძლევაში ლომის წილი კი დაიდო. „ანართოსისმა" 3:1 მოიგო, ქეცბაიამ ორი საგოლე პასი მიითვალა და მესამე გოლიც მის წამოწყებულ შეტევას მოჰყვა.

როგორც იქნა, მოიგო „აარაუმ". მართალია, ლევან ხომერიკი უკვე „ჩემოდანზე ზის", მაგრამ „აარაუს" წარმატება მაინც საგულისხმოა. ამ კლუბმა ბოლოს როდის იმარჯვა, ღმერთმა უწყის.

მიხეილ ყაველაშვილი ბევრს ეცადა, მაგრამ ყოფილ კლუბს, „გრასჰოპერს" მაინც ვერ გაუტანა. „ლუცერნმა" გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს, ჩვენებურმა კი მოედანზე 90 წუთი დაჰყო.

იტალიაში კვლავ მოიგო „მილანმა". კახა კალაძემ ჩვეულად დაცვის მარცხენა ფრთაზე ითამაშა და საკმაოდ მაღალი შეფასებაც მიიღო ჟურნალისტებისგან. თუმც ჩვენი იტალიელი კოლეგები იმასაც აღიარებენ, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში ქართველი გაძევებას იმსახურებდა და მსაჯმა დაინდო. „მილანმა" „რეჯინას" 2:0 ძლევით კი გაიხარა, მაგრამ თავის ზემოთ აწევას მაინც ერიდება — იქ ხომ მოსისხლე „ინტერია".

საინტერესო სტილი აირჩია გრაცის „შტურმმა" — გუნდი ბოლოხანს ხშირად იგებს, მაგრამ თუ წააგო, სამზე ნაკლებ გოლს არ უშვებს.

დავით მუჯირის გუნდმა ამჯერად ლიდერ „აუსტრიასთან" დაყარა ფარხმალი და 0:4 დამარცხდა. ქართველმა სრულად კი ითამაშა, მაგრამ ბევრიც ვერაფერი დააკლო მეტოქეს.

ლატვიაში ყველაფერი „ოქროს მატჩისკენ" მიდის. ორივე ლიდერმა — „ვენსტპილსმა" და „სკონტომ" — მორიგი სამ-სამი ქულა ჩაიწერა აქტივში და კვლავაც თანაბარი ქულებით მიილტვიან ჩემპიონატის ფინიშისკენ. შეგახსენებთ, თუ მათ თანაბარი ქულებით დაამთავრეს გათამაშება, ჩემპიონის ვინაობა „ოქროს მატჩში" გაირკვევა. ამ ტურში კი სკონტოელ ქართველთაგან მხოლოდ ალექსანდრე რეხვიაშვილმა ითამაშა „დინაბურგთან", რეხვიაშვილი 72-ე წუთზე შეცვალეს.

**კახა შალამბერიძე**



ზურაბ ხიზანიშვილი

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | რეჯინა 2:0 | 90 | გააფრთხილეს | 7 | 2 | 0 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ზანკტ პაული 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 0 | 3 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ზანკტ პაული 1:0 | 90 | | 11 | 4 | 3 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ზანკტ პაული 1:0 | 90 | | 10 | 0 | 3 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | ზანკტ პაული 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | ს | ზანკტ პაული 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | ობერჰაუზენი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | როიტლინგენი 4:2 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 9 |
| **ავსტრია. მაძსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | აუსტრია 0:4 | 90 | | 12 | 2 | 3 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | ს | უენსდი 3:1 | 90 | საგოლე პასი | 9 | 1 | 10 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | დანდი 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 10 | 5 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | რეინჯერსი 0:3 | 69 | შეცვალეს | 10 | 0 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | რეინჯერსი 0:3 | 45 | გააძევეს | 2 | 0 | 6 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | ს | ტვენტე 0:0 | 0 | | 4 | 0 | 2 |
| **ბელგია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | ანდერლეხტი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | ს | გრასჰოპერი 2:3 | 90 | | 10 | 2 | 9 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | შ | დელემონი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | შ | ცსკა 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 13 | 6 | 13 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | შ | ცსკა 0:1 | 90 | | 14 | 6 | 13 |
| გია იმედაძე | ალანია | შ | ცსკა 0:1 | 0 | ტრანსფერზეა | 10 | 2 | 13 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ზენიტი 2:0 | 0 | | 0 | 0 | 11 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | | ტური გამოტოვა | | | 24 | 1 | 15 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | ურალანი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 14 | 0 | 4 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | ურალანი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | | ტური გამოტოვა | | | 4 | 0 | 3 |
| სევასტი თოდუა | ურალანი | შ | ტორპედო 0:1 | 89 | გააფრთხილეს, გააძევეს | 4 | 0 | 12 |
| ანზორ კალაძე | კრილია | ს | ზილ 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | ს | ჩერნომორეცი 2:3 | 0 | | 24 | 0 | 11 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | ს | ჩერნომორეცი 2:3 | 0 | | 27 | 2 | 11 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | ს | ჩერნომორეცი 2:3 | 0 | | 20 | 0 | 11 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | ს | სკა ენერგია 0:0 | 0 | | 20 | 0 | 1 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | ს | სკა ენერგია 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | ს | სკა ენერგია 0:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 25 | 20 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი | ს | სპარტაკი 2:2 | 90 | | 26 | 5 | 10 |
| პაატა ბერიშვილი | ვორონეჟი | | მატჩი ჩაიშალა | | | 4 | 1 | 14 |
| ალექსანდრე გელაძე | სკა როსტოვი | ს | ნეფტეხიმიკი 1:4 | 0 | | 7 | 0 | 17 |
| გოჩა გოგრიჭიანი | სკა როსტოვი | ს | ნეფტეხიმიკი 1:4 | 0 | | 7 | 1 | 17 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | სკა როსტოვი | ს | ნეფტეხიმიკი 1:4 | 90 | | 14 | 0 | 17 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | არსენალი 0:5 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 8 | 0 | 11 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | არსენალი 0:5 | 90 | | 14 | 6 | 11 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | მეტალისტი 1:2 | 65 | შეცვალეს | 6 | 2 | 15 |
| გიგლა ახალაია | მ. ზაპოროჟიე | ს | მეტალისტი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| დავით ოქროცვიძე | მ. ზაპოროჟიე | ს | მეტალისტი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | შ | ტავრია 5:0 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 13 | 8 | 3 |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | კრივბასი 2:1 | 90 | | 7 | 2 | 5 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრივბასი | ს | მ. დონეცკი 1:2 | 90 | | 6 | 0 | 9 |
| მიხეილ ფოცხვერია | დნიპრო | შ | შახტარი 0:3 | 0 | | 0 | 0 | 2 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიკა | შ | ოდრა 0:3 | 90 | გააფრთხილეს | 10 | 1 | 6 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | შ | ჩერნომორეცი 0:1 | ? | | ? | 5 | 9 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | ომონია 3:1 | 90 | 2 საგოლე პასი | ? | 2 | 4 |
| გიორგი შენგელია | მორფუ | შ | ეთნიკოსი 3:1 | ? | | ? | 2 | 5 |
| ლევან მაღრაძე | აელ | შ | პაფოსი 6:2 | ? | საგოლე პასი | ? | 1 | 11 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | სალამინა 1:0 | ? | | ? | 0 | 12 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | დინაბურგი 3:1 | 72 | შეცვალეს | 19 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | დინაბურგი 3:1 | 0 | | 16 | 2 | 2 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | დინაბურგი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 17 | 3 | 2 |

**შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში**



გარეთ საუთგეიტი ალან შირერს დაეჭაჭგურა

# რაც მეტი, მით უკეთესი

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XII ტური

**ნიუკასლი 2:0 მიდლსბრო**

1:0 ამეობი (20), 2:0 კოლდუელი (87)
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ა. ჰიუზი, კოლდუელი, ბერნარი, სოლანო (დაიერი 71), ჯენასი, სპიდი, რობერი (ვიანა 71), შირერი, ამეობი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მიდლსბრო: შვარცერი, პერნაბი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, კედრუ, ჯერემი, ბოატენგი, გრინინგი, ჟობი, ნემეტი (მარინელი 70), მაკარონე
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: გრიფინი, კედრუ, შირერი, ეჰიოგუ, კედრუ
გაძევება: კედრუ (90)
მსაჯი: ბარბერი
51 558 მაყურებელი

„ნიუკასლ იუნაიტედმა" მორიგი საშინაო გამარჯვება მოიპოვა, 2:0 დაამარცხა „მიდლსბრო". სერ ბობი რობსონის გუნდმა ბოლო ექვს პრემიერლიგურ მატჩში მეხუთედ მოიგო.

შოლა ამეობიმ პირველი ტაიმის შუაში გაუტანა მეტოქეს, ახალბედა სტივენ კოლდუელმა კი მთლად თამაშის მიწურულს, ასე რომ, „ნიუკასლმა" სწორედ „მიდლსბროს" გადაუსწრო ცხრილში და მერვე ადგილზე დამკვიდრდა.

სტუმართათვის კი, რომელთა შორისაც აქტიურობდა მასიმო მაკარონე, უიღბლო ღამე მცველ ფრანკ კედრუს გაძევებით დასრულდა. კედრუ წინა ტურშიც გააძევეს.

„ნიუკასლმა" კი ზედიზედ მეოთხედ მოიგო წმინდა ჯეიმსის მინდორზე, თუ რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებებსაც მივათვლით.

სერ ბობი რობსონი კმაყოფილია: „კარგ შედეგებს ვაღწევთ. ეს თამაში დერბი იყო და მოვიგეთ. შვიდ დღეში სამი მატჩი გვქონდა. ახლა კიდევ შვიდ დღეში გვიწევს სამი თამაში. რასაც ეს ბიჭები აკეთებენ, ზებუნებრივია."

რობსონმა თამაშის საუკეთესო მოთამაშედ 19 წლის ჯერმენ ჯინასი ჩათვალა, შუა მოედანი კარგად ეჭირა.

ქულა მაინც გვეკუთვნოდა, ასე თქვა „ბოროს" მენეჯერმა სტივ მაკლარენმა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 12 | 9 | 3 | 0 | 24:9 | 30 |
| არსენალი | 12 | 8 | 2 | 2 | 27:13 | 26 |
| მანჩესტერი | 12 | 6 | 4 | 2 | 16:9 | 22 |
| ჩელსი | 12 | 5 | 5 | 2 | 20:12 | 20 |
| ტოტენჰემი | 12 | 6 | 2 | 4 | 17:16 | 20 |
| ევერტონი | 12 | 6 | 2 | 4 | 15:15 | 20 |
| ბლექბერნი | 12 | 5 | 4 | 3 | 18:13 | 19 |
| ნიუკასლი | 11 | 6 | 1 | 4 | 18:15 | 19 |
| მიდლსბრო | 12 | 5 | 3 | 4 | 15:10 | 18 |
| საუთჰემპტონი | 12 | 4 | 4 | 4 | 12:12 | 16 |
| ფულემი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:15 | 15 |
| ბირმინგემი | 12 | 4 | 3 | 5 | 14:15 | 15 |
| ლიდსი | 12 | 4 | 2 | 6 | 13:13 | 14 |
| სიტი | 12 | 4 | 2 | 6 | 11:18 | 14 |
| ასტონ ვილა | 12 | 3 | 3 | 6 | 7:11 | 12 |
| ჩარლტონი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:17 | 11 |
| ვესტ ჰემი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:19 | 11 |
| სანდერლენდი | 12 | 2 | 4 | 6 | 6:16 | 10 |
| ვესტ ბრომვიჩი | 12 | 3 | 1 | 8 | 9:20 | 10 |
| ბოლტონი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:21 | 8 |



# ბაბელი ბრუნდება

კარგი ამბავია პრემიერლიგის ლიდერ „ლივერპულში" — ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მოედანს გერმანელი მარკუს ბაბელი უბრუნდება.

ალბათ გახსოვთ, რა უბედურებაც შეემთხვა მას დაახლოებით წელიწადნახევრის წინ. ბაბელს გუილენ-ბარეს სინდრომის დიაგნოზი დაუსვეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას იმუნიტეტი დაუქვეითდა, რამაც თავის მხრივ ნერვული სისტემა დაუზიანა და ფეხბურთელმა სიარულის უნარი დაკარგა. ასეთი დაავადება მძიმე ფსიქოლოგიურ ტრავმასაც იწვევს, მაგრამ მარკუსმა, ექიმთა მონდომებით და თანაკლუბელთა ძმური მხარდაჭერით, დაავადების დამარცხება შეძლო და დღეს სავსებით მზად არის ბურთის საგორებლად.

„ლივერპულის" ფრანგი დამრიგებელი ჟერარ ულიე დარწმუნებულია ბაბელის შესაძლებლობებში და მისი ძირითად შემადგენლობაში დაყენებაც გაუნზრახავს ასოციაციის თასის მესამე წრეში „საუთჰემპტონის" წინააღმდეგ.

საგულისხმოა, რომ ულიე ამ მატჩში ბევრი წამყვანი ფეხბურთელის დასვენებას აპირებს: პოლონელი ირეი დუდეკის ნაცვლად კარს კრის კირკლენდი დაიცავს, ხოლო შეტევაში ერთმანეთს მილან ბაროში და ელ-ჰაჯი დიუფი შეუწყვილდებიან. ეს თამაში დღესაა.

**ნინო ჭადაგიშვილი**

# ბარტეზი კარში გაჩერდებოდა? ლემერი ვინაა! ევროპაც ჟაკეს მოუგია

1998 წლის მუნდიალის ტრიუმფატორმა საფრანგეთის ნაკრებმა და მარსელის „ოლიმპიკმა" ნიმში საქველმოქმედო მატჩი გამართეს. საქმე ის გახლავთ, რომ სექტემბრის წყალდიდობა, ლამის ნახევარი ევროპა რომ წალეკა, სამხრეთ საფრანგეთსაც მისწვდა და 24 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ჰოდა, ბილეთების გაყიდვით შემოსული თანხა მთლიანად დაზარალებულთა ფონდში გადაირიცხა.



ზინედინ ზიდანი და ჟამელ ბელმოდი საქველმოქმედოდ შეიბნენ

სამფეროვანთა ნაკრების შემადგენლობაში 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა მონაწილე თამაშობდა და გუნდს, რა თქმა უნდა, ემე ჟაკე თავკაცობდა.

ანგარიში ნაკრების კაპიტანმა დიდიე დეშანმა 23-ე წუთზე გახსნა, ხოლო იბრაჰიმ ბაკაიოკომ ტაიმის ფრედ დასრულება ინება.

მეორე ნახევარში კი მარსელელებმა ამ მატჩს საქველმოქმედოსი არაფერი დაატყვეს, უქიფოდ მოთამაშე ნაკრებს შმაგად შეუტიეს და სამ გოლსაც გამორჩნენ.

თითქოს ნაკრების 1:4 წაგება, თუ გინდ საქველმოქმედო შეხვედრაში, მთავარი სიურპრიზი უნდა ყოფილიყო ტრიუბნებზე მყოფთათვის, მაგრამ იქ, სადაც ფაბიენ ბარტეზია, ყველაფერია მოსალოდნელი. იგი 65-ე წუთზე ბერნარ ლამამ შეცვალა და თითქოს ბარტეზსაც სათადარიგოთა სკამისკენ უნდა აელო გეზი, მაგრამ... სულ რაღაც ათ წუთში მან მეკარის სამოსი გარემარბისაზე შეცვალა. ერთი სიტყვით, ფაბიენმა დრო იხელთა, ოფიციალურ მატჩებში წინა ხაზზე თამაშს ვინ მაღირსებსო და, ველად გაიჭრა, მარჯვენა გარემარბის პოზიცია დაიკავა, თუმც გოლი ვერ გაიტანა.

ნამატჩევს ლორან ბლანის სიტყვებში ნოსტალგიანარევი ტონი შეიმჩნეოდა: „ოთხი წლის წინ ჩვენ ფრანგ ხალხს დიდი სიხარული მოვუტანეთ. ემე ჟაკემ მართლაც შესანიშნავი გუნდი შექმნა. სწორედ მისი შრომატევადი მუშაობის ნაყოფი იყო, ორი წლის შემდეგაც ევროპის ჩემპიონის გვირგვინი რომ დავიდგით."

**ზურაბ რუხაძე**



ფაბიენ ბარტეზი წინ თამაშს ნაჩვევია

## პორტუგალია

### I ლიგა. IX ტური

**ბელენენსეში 0:0 ბოავიშტა**

**პორტუ 5:2 ნასიონალი**

0:1 ლუზადა (18), 1:1 რიბეირუ (27), 2:1 პოსტიგა (33), 3:1 კლეიტონი (36), 4:1 დეკო სოუზა (47), 5:1 პოსტიგა (63), 5:2 როსატო (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 9 | 6 | 3 | 0 | 19:9 | 21 |
| გიმარაეში | 9 | 6 | 1 | 2 | 22:14 | 19 |
| ბენფიკა | 9 | 5 | 2 | 2 | 16:9 | 17 |
| ბელენენსეში | 9 | 5 | 2 | 2 | 12:9 | 17 |
| ვარზიმი | 9 | 5 | 1 | 3 | 15:10 | 16 |
| სპორტინგი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:13 | 16 |
| ფერეირა | 9 | 4 | 1 | 4 | 13:9 | 13 |
| ბრაგა | 9 | 4 | 1 | 4 | 12:15 | 13 |
| სეტუბალი | 9 | 2 | 6 | 1 | 13:8 | 12 |
| ჟილ ვისენტე | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | 11 |
| ბოავიშტა | 9 | 3 | 2 | 4 | 7:9 | 11 |
| მარიტიმუ | 8 | 3 | 1 | 4 | 7:14 | 10 |
| ბეირა მარი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:11 | 9 |
| ლეირია | 9 | 2 | 2 | 5 | 9:14 | 8 |
| ნასიონალი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:13 | 8 |
| სანტა კლარა | 8 | 2 | 1 | 5 | 10:15 | 7 |
| მორეირენსე | 9 | 2 | 1 | 6 | 10:15 | 7 |
| აკადემიკა | 9 | 1 | 4 | 4 | 9:14 | 7 |

## ჩეხეთი

### XIII ტური

**სპარტა 3:0 ბოჰემიანსი**

**ლიბერეცი 2:0 ზლინი**

**სლავია 2:0 ბლშანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 12 | 9 | 3 | 0 | 22:3 | 30 |
| სლავია | 12 | 7 | 4 | 1 | 23:8 | 25 |
| ლიბერეცი | 12 | 7 | 2 | 3 | 19:13 | 23 |
| ტეპლიცე | 12 | 7 | 0 | 5 | 17:15 | 21 |
| ბანიკი | 12 | 6 | 2 | 4 | 19:12 | 20 |
| ჟიჟკოვი | 12 | 5 | 3 | 4 | 17:15 | 18 |
| იაბლონეცი | 12 | 4 | 4 | 4 | 13:19 | 16 |
| პრჟიბრამი | 12 | 4 | 3 | 5 | 10:10 | 15 |
| სინოტი | 12 | 4 | 3 | 5 | 12:15 | 15 |
| ბლშანი | 12 | 4 | 3 | 5 | 10:13 | 15 |
| ბუდეიოვიცე | 12 | 5 | 0 | 7 | 18:24 | 15 |
| ბრნო | 12 | 4 | 2 | 6 | 15:16 | 14 |
| სიგმა | 12 | 2 | 5 | 5 | 11:13 | 11 |
| ზლინი | 12 | 2 | 4 | 6 | 11:20 | 10 |
| ბოჰემიანსი | 12 | 2 | 3 | 7 | 14:25 | 9 |
| ჰრადეც კრალოვე | 12 | 0 | 7 | 5 | 7:17 | 7 |

## ბელგია

### I დივიზიონი. XI ტური

**ანდერლეხტი 1:2 ლიერსი**

0:1 შასენსი (21), 1:1 სეოლი (30), 1:2 მიუსგენსი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 10 | 9 | 1 | 0 | 26:8 | 28 |
| ლიერსი | 11 | 8 | 2 | 1 | 20:8 | 26 |
| ლოკერენი | 11 | 7 | 3 | 1 | 24:15 | 24 |
| გენკი | 11 | 6 | 4 | 1 | 27:14 | 22 |
| ანდერლეხტი | 10 | 6 | 2 | 2 | 24:13 | 20 |
| სენტ ტრუიდენი | 10 | 5 | 3 | 2 | 28:16 | 18 |
| მუსკრონი | 10 | 4 | 3 | 3 | 24:22 | 15 |
| ანტვერპენი | 11 | 4 | 3 | 4 | 19:20 | 15 |
| ბეერსხოტი | 11 | 4 | 2 | 5 | 21:24 | 14 |
| ლუვენი | 11 | 3 | 4 | 4 | 12:11 | 13 |
| მონსი | 11 | 4 | 1 | 6 | 15:16 | 13 |
| გენტი | 11 | 3 | 2 | 6 | 18:22 | 11 |
| ლომელი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:19 | 11 |
| ბევერენი | 11 | 3 | 1 | 7 | 10:21 | 10 |
| სტანდარდი | 11 | 2 | 3 | 6 | 12:20 | 9 |
| მეხელენი | 11 | 2 | 3 | 6 | 13:24 | 9 |
| ვესტერლო | 11 | 2 | 1 | 8 | 7:24 | 7 |
| შარლერუა | 11 | 0 | 4 | 7 | 12:27 | 4 |

## უკრაინა

30-14 ტური: ჩერნომორეცი — დინამო 1:4; დნიპრო — შახტარი 0:3; არსენალი — ტავრია 5:0; მეტალისტი — მ. ზაპოროჟიე 2:1; პოლიგრაფტექნიკა — ვორსკლა 2:0; მ. მარიუპოლი — ვოლინი 3:2; კარპატი — ობოლონი 0:1; მ. დონეცკი — კრივბასი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 14 | 11 | 2 | 1 | 29:12 | 35 |
| დნიპრო | 14 | 11 | 2 | 1 | 24:7 | 35 |
| არსენალი | 14 | 9 | 3 | 2 | 33:13 | 30 |
| დინამო | 13 | 9 | 2 | 2 | 32:9 | 29 |
| მ. დონეცკი | 14 | 8 | 3 | 3 | 21:13 | 27 |
| ვოლინი | 14 | 7 | 1 | 6 | 19:22 | 22 |
| მ. მარიუპოლი | 14 | 4 | 4 | 6 | 18:20 | 16 |
| მეტალისტი | 14 | 4 | 4 | 6 | 10:18 | 16 |
| კრივბასი | 14 | 3 | 6 | 5 | 12:15 | 15 |
| პოლიგრაფტექნიკა | 14 | 3 | 6 | 5 | 14:20 | 15 |
| ტავრია | 14 | 4 | 2 | 8 | 16:25 | 14 |
| კარპატი | 13 | 3 | 5 | 5 | 12:15 | 14 |
| ობოლონი | 14 | 3 | 4 | 7 | 12:17 | 13 |
| ვორსკლა | 14 | 3 | 1 | 10 | 8:27 | 10 |
| მ. ზაპოროჟიე | 14 | 2 | 4 | 8 | 9:19 | 10 |
| ჩერნომორეცი | 14 | 2 | 1 | 11 | 7:24 | 7 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. XI ტური

**მაინცი 2:2 კარლსრუე**

1:0 ვორონინი (52), 2:0 ბაბენერი (61 ს.კ.), 2:1 საენკო (71), 2:2 დ. გრამი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 11 | 6 | 5 | 0 | 25:12 | 23 |
| აინტრახტი | 11 | 7 | 1 | 3 | 23:11 | 22 |
| ფრაიბურგი | 11 | 7 | 1 | 3 | 18:10 | 22 |
| ტრირი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:12 | 20 |
| ობერჰაუზენი | 11 | 5 | 4 | 2 | 13:8 | 19 |
| ალემანია | 11 | 5 | 4 | 2 | 18:14 | 19 |
| მაინცი | 11 | 5 | 3 | 3 | 17:11 | 18 |
| როიტლინგენი | 11 | 6 | 0 | 5 | 21:20 | 18 |
| ფიურტი | 11 | 4 | 5 | 2 | 16:11 | 17 |
| ბურგჰაუზენი | 11 | 4 | 4 | 3 | 19:14 | 16 |
| ლიუბეკი | 11 | 5 | 1 | 5 | 21:17 | 16 |
| უნიონი | 11 | 3 | 4 | 4 | 13:23 | 13 |
| დუისბურგი | 11 | 2 | 6 | 3 | 13:16 | 12 |
| კარლსრუე | 11 | 2 | 4 | 5 | 11:18 | 10 |
| ალენი | 11 | 2 | 3 | 6 | 15:20 | 9 |
| ზტ. პაული | 11 | 2 | 2 | 7 | 16:28 | 8 |
| ბრაუნშვაიგი | 11 | 1 | 2 | 8 | 13:29 | 5 |
| ვალდჰოფი | 11 | 1 | 1 | 9 | 10:29 | 4 |


**იყიდება**

ბინა ინდივიდუალური
პროექტით აშენებული
რვაბინიანი სახლის
მესამე სართულზე
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე

**ფასი შეთანხმებით**

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7
კინოთეატრ "სულიკოსთან"

☎ (231) 7 17 58

**ქუთაისში**



# საქმე და სიტყვა

## პრემიერლიგა, ბუნდესლიგა, პრიმერადივიზიონი, სერია A უქმეების მერე



შტეფან ეფენბერგი ძალიან გააბრაზეს

### გერმანია

— დორტმუნდის „ბორუსიას“ „ჰამბურგთან“ ბოლო ოთხი შეხვედრა მოგებული ჰქონდა. ამ ტურშიც დორტმუნდელები მეხუთე გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ. მით უმეტეს, რომ ჰამბურგელმა ჰოლერბახმა 88-ე წუთზე კარიერაში პირველი თერთმეტმეტრიანი ღრუბლებში გაუშვა. თუმცა მასპინძლებს მეხუთე ზეიმი შეცვლაზე შესულმა დანიელმა კრისტიანსენმა ბოლო წამებზე გატანილი გოლით ჩაუშწარა.

— მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ იუბილარ მწვრთნელს, ჰანს მაიერს, რომელიც გასულ შაბათს 60 წლისა მოიყარა, ცუდი საჩუქარი უძღვნა, ბოლო 6 მატჩში მეხუთედ წააგო.

— როსტოკის „ჰანზამ“ ზედიზედ ოთხი საშინაო მარცხის შემდეგ „კაიზერსლაუტერნთან“ ფრეს მიაღწია. აქამდე „ლაუტერნს“ როსტოკში ოთხჯერ წააგო. აღსანიშნავია სტუმართა რიგებში შვეიცარიელი ჩირიაკო სფორცას დაბრუნება, რომელიც მოყვარულთა გუნდში თამაშობდა.

— ჰანოვერი და ვოლფსბურგი მეზობელი ქალაქებია, მაგრამ ბუნდესლიგაში ერთურთს პირველად დაეჯახნენ. მასპინძელთა შემადგენლობაში მე-7 მატჩში მეშვიდე გოლი გაიტანა ფრედი ბობიჩმა, ხოლო „ვოლფსბურგის“ ახალწვეულმა შტეფან ეფენბერგმა თავი იმით გამოიჩინა, რომ ნამატჩევს ფოტოკორესპონდენტებისკენ საჩხუბრად გაიწია.

— „მიუნხენ 1860“-მა ზედიზედ მესამედ იმარჯვა და მეორე კვირაა, ლიდერთა სამეულს არ მოსცილებია.

— ლევერკუზენის „ბაიერის“ ბოლო 69 მატჩიდან 0:0 ერთიც არ დასრულებულა. ბრდარიჩი მესამე სეზონს ატარებს გუნდში და ამ ხნის განმავლობაში 59-ჯერ შევიდა შეცვლაზე.

— თითქმის ყველა ტიტულის მფლობელი ანდრეას მიოლერი პირველად ვერ მოხვდა „შალკეს“ სასტარტო თერთმეტეულში. გუნდმა პირველი ტაიმი „კოტბუსის“ კარში დაურტყმელად დაასრულა. მეორე ნახევარში ენდი მიოლერი შეცვლაზე შევიდა და ათიოდ წუთში ჯარიმიდან ბრწყინვალე გოლიც გაიტანა.

— „კოტბუსმა“ მიჯრით მეხუთე მატჩი წააგო შინ და ამასთან გოლიც არ გაუტანია. ასეთი „შავი“ სერია ბუნდესლიგას არ ახსოვს.

მათიას ზამერი, „დორტმუნდის“ მწვრთნელი: „კრისტოფ მეცელდერს ბურთი ხელზე მოხვდა და ჩვენს კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნეს, მაგრამ რა ვქნათ? მეცელდერს ხელს ხომ არ მოვაჭრით? მართალია, მეტოქემ პენალტი გააცუდა, მაგრამ ბოლო წუთზე მაინც გავუშვით. 1:0 მიგვყავდა და ანგარიში უნდა შეგვენარჩუნებინა. ვერ შევძელით, რადგან ჩემპიონთა ლიგამ ბიჭები გადაღალა.“

კურტ იარა, „ჰამბურგის“ მწვრთნელი: „მოხარული ვარ, რომ გასვლაზე პირველი ქულა ავიღეთ. გუნდმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა და დისციპლინაც სათანადო დონეზე იყო.“

კლაუს ტოპმიოლერი, „ლევერკუზენის“ მწვრთნელი: „სწრაფი გოლის გატანა და საქმის უცბად მოგვარება გვსურდა. სამწუხაროდ, არ გამოვიდა. შესვენებაზე გასახდელში ფეხბურთელებთან საუბარში ხმასაც ავუწიე. მესმის გულშემატკივრების, რომლებიც ულფ კირსტენის თამაშს ითხოვენ, მაგრამ ის ჯერ ფორმაში არაა.“

კარლ ჰაინც ვილდმოზერი „მიუნხენ 1860“-ის პრეზიდენტი: „თუ მომავალშიც ასე ბრწყინვალედ ვითამაშებთ, რატომ არ უნდა გვქონდეს პირველ ან მეორე ადგილზე პრეტენზია?“

ერიკ გერეტსი, „კაიზერსლაუტერნის“ მწვრთნელი: „ქება-დიდება ჩემს გუნდს, რომელმაც კიდევ ერთი პატარა ნაბიჯი გადადგა წინ. სეზონში პირველი გასვლითი ქულა მოვიპოვეთ, თან მსვლელობისას ვაგებდით. რაც შეეხება ჩირიაკო სფორცას, მას შეუძლია, გუნდის ლიდერობა გასწიოს.“

ჰანს მაიერი, „გლადბახის“ მწვრთნელი: „ეს რომ 32-ე ტურის მატჩი ყოფილიყო, ალბათ რეანიმაციაში წასაყვანი ვიქნებოდი“.

საშა ჩირიჩი, „ნიურნბერგის“ ფორვარდი, რომელმაც სეზონში მერვე გოლი გაიტანა: „მე ელბერზე უკეთესი ვარ!“

### იტალია

— რობერტო მანჩინიმ „ლაციოს“ ისტორია გაახსენა. მისი თავკაცობით გუნდმა ზედიზედ სამი გასვლითი მატჩი მოიგო. ბოლოს „ლაციოს“ მსგავსი შედეგი ოცდაათი წლის წინ, 1972-73 წლების სეზონში ჰქონდა.

— მილანის „ინტერმა“ დაიფიცა, რომ მოედანს უგოლოდ არ დატოვებს. უკვე მე-20 შეხვედრაა, „შავ-ლურჯებს“ ფიცი არ გაუტეხავთ და 40 გოლი მიითვალეს.

— თმაგრძელმა და ფეხმტკიცე მილანელმა ფილიპო ინძაგიმ „რეჯინასთან“ თავისი მე-100 გოლი შეაგდო. ამ სეზონის რაგინდარა ტურნირში კი სულ 17 დაუგროვდა. მას კვალში ტურინელი ალესანდრო დელ პიერო უდგას 15 გატანილით.

— პირველი გამარჯვება იგემა ბერგამოს „ატალანტამ“. ბერგამოელებმა „პიაჩენცას“ აალიტეს სამი ქულა, რომელმაც ბოლო ხუთ ტურში ოდენ კინკილა ქულა მოიხვეჭა.

— „მილანმა“ „სან-სიროზე“ სეზონში მეექვსედ მოიგო. სამჯერ ჩემპიონატში, სამჯერ კი ჩემპიონთა ლიგაში. შთამბეჭდავია ბურთების სხვაობაც — 16:2.

— ბოლო ტურში სტუმრებმა 5 მატჩი მოიგეს. ამდენჯერვე იმარჯვეს მეორე ტურში. სულ შვიდი კვირის შემდეგ სტუმრების ანგარიშზე 21 გამარჯვებაა.

— „ტორინოს“ ახალი მწვრთნელი რენცო ულივიერის დებიუტი შავად დასრულდა. მისი გუნდი რობერტო ბაჯოს „ბრეშასთან“ დამარცხდა.

— „უდინეზე“ — „ბოლონიას“ მატჩის შედეგი — 0:0, მიმდინარე ჩემპიონატში მეორეა. პირველ შემთხვევაშიც უგოლო შეხვედრის თანამონაწილე „ბოლონია“ გახლდათ, რომელმაც „ემპოლისთან“ გაიყო ქულა.

### ესპანეთი

— „ბარსელონამ“, ბილბაოს „ატლეტიკმა“ და მადრიდის „რეალმა“ პრიმერადივიზიონში 2200-ე მატჩები გამართეს.

— „ბარსელონამ“ სანტანდერში რევანშის აღება ვერ შეძლო, სადაც ორი წლის წინ, ლიგიდან გავარდნამდე „რასინგმა“ კატალონიელები 4:0 დაამარცხა.

— ბილბაოს „ატლეტიკის“ ფეხბურთელებმა „სელტას“ კარში პირველად 78-ე წუთზე დაარტყეს. მატჩის ბოლო ცხრა წუთში კი ორი გოლი გაიტანეს და წინა სეზონში იმავე „სელტასგან“ 1:6 მარცხით გამოწვეული სირცხვილი მცირედით ჩამოირეცხეს. ამასთან მასპინძლებს 3 მარტიდან შინ შეხვედრა არ მოეგოთ.

— არგენტინელმა პაბლო აიმარმა, რომელსაც გასულ კვირას 23 წელი შეუსრულდა „ვალენსიას“ შემადგენლობაში საიუბილეო, 50-ე მატჩი ითამაშა.

— პრიმერადივიზიონის დებიუტანტმა „უელვამ“ პირველი სამი ქულა მიითვალა. გამარჯვების გოლი „ოსასუნას“ კარში თერთმეტმეტრიანიდან გავიდა. ამ სეზონში „უელვას“ ფეხბურთელების მიერ შესრულებული სამი პენალტიდან მხოლოდ მესამემ უწია მიზანს.



ფილიპო ინძაგიმ მეასე სერიული გოლი მიითვალა



პაბლო აიმარმა ორმაგი იუბილე გადაიხადა

# რუნიმანია

## თადარიგის ლურჯი მეფე

უეინ რუნი — 24 ოქტომბერს მას 17 წელი შეუსრულდა, ორმა გოლმა კი სრულიად ინგლისი ყმაწვილ საოცრებაზე აალაპარაკდა.

პრემიერლიგის პირველ ტურში უეინ რუნი ტურის სამ საუკეთესოს შორის მოხვდა. ბრიტანელმა კალმოსნებმა მაშინვე, ოღონდ ზომიერად, შეაქეს ბიჭი. მას მერე ფეხბურთელი „ევერტონის“ ძირითად თერთმეტეულში მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა. მწვრთნელი ბოლო 15-20 წუთს თუ ათამაშებდა, მაგრამ ეს დრო საკმარისზე მეტი იყო იმისთვის, რომ ერთგვარი „რუნიმანია“ დაწყებულიყო.

პირველ ოქტომბერს, ლიგის თასზე „რექსემთან“ მან გოლი გაიტანა, რითაც „ევერტონის“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მეგოლის სახელი დაიმკვიდრა. ეს რეკორდი 1937 წლიდან სახელოვან ტონი ლოუტონს ეკუთვნოდა.

რუნის სხვა რეკორდებიც ეკუთვნის. პირველი პრემიერლიგური გოლი რომ შეაგდო, მაიკლ ოუენზე 89 დღით უმცროსი იყო. 14 წლისა 17-წლამდელთა ნაკრებში, ხოლო 15-სა 19-წლამდელებში თამაშობდა.

უეინ რუნიმ შეწყვიტა არსენ ვენგერის „არსენალის“ ტრიუმფალური სვლა. მასზე 22 წლით უფროს დევიდ სიმენის კარში ისეთი ჩააჭედა, რომ „მეთოფეების“ თოფები მიაჩუმა. იმ დღეს 16 წლის და 361 დღისა იყო.

ის უკვე ინგლისური გაზეთების სალაყბო გახდა, ხოლო „ლიდსთან“ გატანილმა გამარჯვების ხატოვანმა გოლმა ყველა კითხვას ერთბაშად უპასუხა: „ევერტონს“ 51 წელი ვერ მოეგო ლიდსში. „ევერტონის“ ფანებმა თანაქალაქელ მოქიშპე „ლივერპულსაც“ გაჰკრეს კბილი, როცა გოლის შემდეგ ტრანსპარანტი გამოფინეს: „უეინ რუნი — ჩვენი პასუხი ოუენს!“

აშკარაა, რომ რუნის დიდ ფეხბურთში შესაბიჯებელი კოჭები აქვს. ოღონდ ყურადღება და გაშლაშინება სჭირდება. ყმაწვილკაცის მისამართით პრემიერლიგელ მწვრთნელებს ტკბილი სიტყვები არ დაუშურებიათ, ხოლო სვენ გორან ერიკსონმა ჯერარნახულიც კი უწოდა.

ასევე აქებდნენ თავის დროზე 17 წლის ევერტონელ დენი კადამარტერსაც, რომელმაც „ლივერპულის“ კარში გატანილი ბრწყინვალე გოლით 1997-ში სახელი დაიგდო და სეზონის ბოლოს ახალგაზრდებში საუკეთესოდ აღიარეს. მერე კვირაში 10 ათას გირვანქიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ფეხბურთის თამაში კი მიივიწყა. „ევერტონიდან“ „ფულემში“ გაანათხოვრეს, ისევ დაბრუნდა და ახლა „ბრედფორდის“ სათადარიგოთა სკამს ხეხავს.

ეს ამბავი „ევერტონის“ ახლანდელმა მწვრთნელმა დევიდ მოიესმა კარგად უწყის. მან ბრძანა, რუნის სეზონის ბოლომდე შეცვლაზე ვათამაშებ, რადგან ჯერ ბევრი რამ აქვს დასახვეწიო.

ინგლისური კანონებით, 17-წლამდელ ფეხბურთელს პროფესიული კონტრაქტის გაფორმების უფლება არ აქვს, ამიტომ უეინ რუნი მხოლოდ 80 გირვანქას იჯიბავს კვირაში. დაბადების დღეზე კლუბმა მას ისეთივე კონტრაქტი (10 ათასი კვირაში) შესთავაზა, როგორც დენი კადამარტერს, მაგრამ ფეხბურთელმა იუარა, დეკემბრამდე მაცადეთო.

ინგლისელებმა მკითხაობა დაიწყეს, დარჩება თუ არა ყმაწვილკაცი „ევერტონში“? შარშან, ახალგაზრდა პრემიერლიგელების ჩემპიონატში, ფინალურ მატჩში გამარჯვების გოლის გამტანმა რუნიმ კლუბის ლურჯი მაისური გაიხადა, შიდა მაისურაზე კი ეწერა: „ერთხელ გალურჯებული — მარად ლურჯია!“

**ვაჟა ხუციშვილი**

გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტური

9 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 001 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 15.30 | 002 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 15.30 | 003 | ჰამბურგი-მიუნხენი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 15.30 | 004 | არმინია-ნიურნბერგი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 15.30 | 005 | შალკე-ლევერკუზენი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 15.30 | 006 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 15.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |

10 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ჰერტა-ჰანზა | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 20.30 | 009 | მიონხენგლადბახი-კოტბუსი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |

გერმანია. II ბუნდესლიგა. XII ტური

8 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
ზემოხსენებული სამი ადამიანის თათბირი ერთ საათს გაგრძელდა და უნდა ითქვას, რომ, ალბათ, არც გაიმართებოდა, მანამდე იტალიურ მედიას ერთი ამბავი რომ არ აეტეხა. მოგეხსენებათ, სამი კვირის წინ „სკუადრა ადურამ“ უელსთან 1:2 წააგო, რამაც ათას ჭორს დაუდო საფუძველი. ტრაპატონის შემცვლელად ვის აღარ განიხილავდნენ, ჯანლუკა ვიალის, ლუიშ ფელიპე სკოლარის თუ სვენ გორან ერიკსონს.

მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ბებერი ტრაპი ამბობდა, რომ არც თვითონ აპირებდა წასვლას და ვერც ფედერაციას ამჩნევდა მისი გაშვების სურვილს.

„მე არ ვღელავ — განაცხადა მან კარაროსთან შეხვედრის შემდეგ — ვეჭვობ იმასაც, რომ ფედერაციას ვინმესთან ნიადაგი მოესინჯა. ახალი მწვრთნელი რომ სდომოდათ, ლოგიკურია, ძებნას აქამდე დაიწყებდნენ.“

აღსანიშნავია, რომ ერიკსონის ხსენებამ ინგლისელები შეაშფოთა, რადგან მოგეხსენებათ, შვედი სპეციალისტი მათ ეროვნულ გუნდს უდგას სათავეში. მდგომარეობის განსამუხტავად ფრანკო კარარომ ლონდონში წერილიც კი აფრინა.

მაგრამ ყველაფერი ხომ მოედანზე ირკვევა. 20 ნოემბერს, პესკარაში, „სკუადრა ადურა“ თურქეთს მასპინძლობს.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ამხანაგური თამაშია — განაცხადა აბეტემ — ცხადია, ჩვენთვის სულ ერთი არ არის, რა მოხდება იქ, ამიტომ დაველოდოთ და ვნახოთ. ჯერჯერობით გვწამს, რომ მდგომარეობა გამოსწორდება. ჩვენ მუშაობას განვაგრძობთ და მარტში ფინელებთან შეხვედრას დაველოდებით.“

თავად ტრაპატონის კი ევრო 2004-ზე მოხვედრაში ეჭვი არ ეპარება:

„იმთავითვე ვიცოდი, რომ შესარჩევში გამარჯვება ძნელი იქნებოდა. ამიტომ ზუსტად იმავეს ვგრძნობ, რასაც სამი თვის წინ ვგრძნობდი. მწამს, მიზანს მივაღწევ. რაც შეეხება კრიტიკას, ფეხბურთში ჩემსავით ჭაპამოწყვეტილ კაცს ის არ უნდა უკვირდეს.“

**ბაჩუნა კედია**




ეს გუნდი არ იყიდება

# გამოდით, ვის გიყვართ ვირები ჩემზე მეტად!

„თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ მე პირველივე მსურველს მივყიდი ჩემს გუნდს“ — ღმერთმა იცის, ამ სიტყვებში რას გულისხმობდა „კიევოს“ მფლობელი და პრეზიდენტი ლუკა კამპედელი, „გაძეტა დელო სპორტმა“ კი გუშინ დაწერა, რომ ვერონული კლუბი იყიდება.

გაზეთის გამოსვლიდან რამდენიმე საათში კამპედელი აღშფოთდა, ეგეთი რამ არ მითქვამს, ჟურნალისტმა ვერ გამიგოო. „კიევოს“ წარმომადგენელმა კი განაცხადა: „პრეზიდენტს „კიევოს“ იმ უჩვეულო სიტუაციაზე დაეკითხნენ, რომელიც გუნდის სწრაფად მზარდი ბიუჯეტით არის გამოწვეული. კამპედელოს პასუხი არასწორად გაიგეს“.

პრეზიდენტმა დღეს ყველასთვის გასაგებად განაცხადა, რომ „კიევო“ არ იყიდება“.

ჩვენ კი გეტყვით, რომ კამპედელო სერია A-ში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტია, ის მხოლოდ 35 წლისაა და ბერლუსკონიმდე, მორატიმდე და სხვა ბობოლა გუნდების უფროსებამდე ეტყობა ჯერაც ბევრი აკლია. მან „კიევო“ მემკვიდრეობით მამამისისგან მიიღო.

ლუიჯი კამპადელო გასული საუკუნის სიღრმეში ვერონულ კლუბს სამოყვარულო ლიგებში ათამაშებდა, 1986 წელს კი „კიევო“ სერია C1a-ში მოხვდა. იქიდან მოყოლებული კამპადელო უფროსის გუნდმა აღზევება იწყო. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ „კიევო“ სერია A-მდე მივიდა და ბოლო სეზონში, უკვე ლუკა კამპადელოს ხელში იტალიის მე-5 გუნდი გახდა.

და თუ გაყიდვაზე მიდგებაო საქმე, კამპადელოს უთქვამს: „ორ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს „კიევოს“ მყიდველი. მან ჩემზე მეტი ფული უნდა დაახარჯოს გუნდს და რაც მთავარია, ისევე უნდა უყვარდეს „კიევო“, როგორც მე. ჩემმა კლუბმა დიდ წარმატებას მიაღწია და არ დავუშვებ მის უბრალო გუნდად ქცევას“.

**ირაკლი ბერტაია**

# მონასტერი ირევა



ბოკელი რონალდო შიავი საგოლედ გაისარჯა

## არგენტინა

### აპერტურა

30-15 ტური: რასინგი — ოლდ ბოიზი 0:2; უნიონი — ტალიერესი 1:3; ნუევა ჩიკაგო — ინდეპენდიენტე 2:2; ოლიმპო —ველესი 1:0; როსარიო — ესტუდიანტესი 1:2; ხიმნასია — კოლონი 1:1; ლანუსი — ჩაკარიტა 0:1; სან ლორენსო — რივერ პლეიტი 0:1; ბოკა ხუნიორსი — ურაკანი 3:1; ბანფილდი — არსენალი 1:1

აპერტურაში ყველაფერი თითქოს გასულ ტურში გაირკვა, „ინდეპენდიენტე" რვა ქულით უსწრებდა უახლოეს მდევარებს, „ბოკასა" და „რივერს" და განწყობაც იმგვარი ჰქონდა, რომ ამ ოფლით მოპოვებულ ფორას ხელიდან არ გაუშვებდა, მაგრამ აი, მოიგეს „ბოკამ" და „რივერმა", ლიდერმა კი მაჩანჩალა „ნუევა ჩიკაგოსთან" წაიბორძიკა.

„ინდეპენდიენტე" ორჯერ უგებდა ვითომჩიკაგოელებს, მაგრამ საბოლოოდ ფრე გამოვიდა. ფედერიკო დომინგესის ადრიან გოლს მარსელო კუსეირომ მეორე ტაიმის დასაწყისში უპასუხა, მაგრამ მერე ანდრეს სილვეირამ პენალტით დააწინაურა ლიდერები. მთელი სეზონია, სხვა გუნდები წუწუნებენ, მსაჯები „ინდეპენდიენტეს" პენალტებს ჩუქნიანო და ახლაც ასე იყო, პენალტი საეჭვო ჩანდა. თუმცა, ამ პენალტიდან ორიოდ წუთში, უკვე „ინდეპენდიენტეს" კარში დანიშნული პენალტი, რომელიც ხულიო სერანომ გაიტანა, არანაკლებ საეჭვო იყო — 2:2.

„ბოკამ" მშობლიურ „ლა ბომბონიერაზე" ბოლოს და ბოლოს მაინც გატეხა ბოლოადგილოსანი „ურაკანი", რომელმაც თავი დადო და ლამის მთელ თამაშს თითოგოლიან ფრეს ინარჩუნებდა. გოლიათებმა ბოლო 15 წუთში იმძლავრეს და როლანდო შიავიმ და გილერმო ბაროს შელოტომ 3:1-მდე აიყვანეს ანგარიში.

დიდი წვალებით, 1:0 მოიგო „რივერმა" „სან ლორენსოსთან". ანდრეს დალესანდრომ ადრევე გააფუჭა პენალტი, მაგრამ ესტებან ფუერტესმა პირველი ტაიმის მიწურულს მაინც შეაგდო თამაშის ერთადერთი გოლი.

მთლად ჩაეშვა ლუის მენოტის „როსარიო", აპერტურას ადრეული ლიდერი, რომელსაც, მეცხრე თამაშია, ვერ მოუგია, ხოლო ოსვალდო არდილესის „რასინგმა" „ნიუელს ოლდ ბოიზთან" წააგო 0:2.

ლიდერსა და „ბოკა"-„რივერს" შორის მანძილი კი ექვსი ქულაა, აპერტურას დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა.

### ონორიო ბუსტოს დომბეძი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდეპენდიენტე | 15 | 11 | 3 | 1 | 42:16 | 36 |
| ბოკა ხუნიორსი | 15 | 9 | 3 | 3 | 26:13 | 30 |
| რივერ პლეიტი | 15 | 9 | 3 | 3 | 28:17 | 30 |
| ჩაკარიტა | 15 | 8 | 2 | 5 | 17:16 | 26 |
| სან ლორენსო | 15 | 6 | 5 | 4 | 22:19 | 23 |
| ველესი | 15 | 6 | 4 | 5 | 19:13 | 22 |
| არსენალი | 15 | 6 | 4 | 5 | 23:19 | 22 |
| ოლდ ბოიზი | 15 | 6 | 4 | 5 | 18:16 | 22 |
| კოლონი | 15 | 5 | 7 | 3 | 18:21 | 22 |
| ტალიერესი | 15 | 5 | 5 | 5 | 19:22 | 20 |
| როსარიო | 15 | 5 | 4 | 6 | 29:26 | 19 |
| რასინგი | 15 | 5 | 4 | 6 | 19:23 | 19 |
| ბანფილდი | 15 | 4 | 6 | 5 | 16:14 | 18 |
| ლანუსი | 15 | 4 | 6 | 5 | 13:19 | 18 |
| უნიონი | 15 | 4 | 4 | 7 | 17:23 | 16 |
| ხიმნასია | 15 | 3 | 6 | 6 | 14:20 | 15 |
| ესტუდიანტესი | 15 | 4 | 2 | 9 | 17:25 | 14 |
| ოლიმპო | 15 | 3 | 5 | 7 | 15:25 | 14 |
| ნუევა ჩიკაგო | 15 | 2 | 5 | 8 | 14:22 | 11 |
| ურაკანი | 15 | 2 | 4 | 9 | 17:34 | 10 |

# დაცემულ გოლიათთა ომები

## ბრაზილია

22-ე ტური: პაისანდუ — ფიგეირენსე 2:1; ვასკუ და გამა — პალმეირასი 1:0; კორინთიანსი — ფლუმინენსე 0:2; კრუზეირო — გრემიო 3:2; ატლ. პარანენსე — ატლ. მინეირო 2:2; გოიასი — პარანა 4:0; ვიტორია — ბაია 1:0; სან კაეტანო — ჟუვენტუდე 2:1; პონტე პრეტა — პორტუგეზა 0:0; გუარანი — სანტოსი 0:2; ფლამენგო — ბოტაფოგო 2:0; ინტერნასიონალი — კურიტიბა 0:1

„ვასკუ და გამა" 1998-ში იყო მთელი ბრაზილიის ჩემპიონი, „პალმეირასი" მომდევნო წელიწადს. ახლა კი საქმე ისეა, რომ ბრაზილიის ეს ორი დიადი კლუბი 26-გუნდა საერთობრაზილიურ ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის.

სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს ამ კვირას და „ვასკუ და გამამ" იმარჯვა ლეო ლიმას ერთადერთი გოლით, თუმცა მანამდე ჯარიმა-პენალტების პალმეირასელმა დიდოსტატმა, კოლუმბიელმა ფრანსისკო არსემ ხარიხას მოარტყა ბურთი პენალტის ნიშნულიდან.

ამ მარცხმა „პალმეირასი" 24-ე ადგილზე ჩააგდო, „ვასკუმ" კი სამი ქულით გადაუსწრო დამარცხებულს და მე-18 ადგილზე აცოცდა. „პალმეირასს" სამად სამი მატჩი დარჩა გასამართი და ღმერთმა იცის, რა მოელის. მაჩანჩალათა მარაქაში არიან ძველი გოლიათები, „ფლამენგო" და „ბოტაფოგოც", რომლებიც ასევე შეხვდნენ ერთმანეთს ამ ტურში და „მენგომ" მოიგო ზე კარლოსისა და ირანილდოს გოლებით. ამით ბრაზილიის ყველაზე პოპულარულმა გუნდმა მეოცე ადგილზე ჩაიმუხლა, „ბოტას" კი, რომელიც 28-ეა, განწირულობის დაღი ადევს.

ცხრილის თავში სხვა ამბავია: „სანტოსმა" კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა რვაგუნდა პლეი ოფში მოსახვედრად და მესამე ადგილზე აბობღდა „სან პაულუსა" და „სან კაეტანოს" შემდეგ. თუმცა, მეოთხეადგილოსან „კორინთიანსს" ორი თამაშით ნაკლები აქვს. „სანტოსმა" 17 წლის დიეგოს საჯარიმო დარტყმით და 18 წლის რობინიოს გოლებით სძლია „გუარანის". თუმცა, „გუარანის" ფეხბურთელებმა ბევრი იდავეს, დიეგოს დარტყმული ხარიხიდან ხაზს გარეთ დაეცაო და პენალტიც არ დაგვინიშნესო, მაგრამ ამან არაფერი შეცვალა.

ჩემპიონატის მთავარმეგოლე კი კვლავ არის მადრიდის „რეალიდან" „გრემიოში" გადასული როდრიგუ ფაბრი, რომელმაც კვლავ ორი გოლი გაიტანა და ახლა 16 ბურთი აქვს ანგარიშზე. თუმცა „გრემიომ" 2:3 წააგო ვანდერლეი ლუშემბურგოს „კრუზეიროსთან".

ვინ ვაკკაცობს ბოლო ხანს და, გამოცოცხლებული „ფლუმინენსე", რომელმაც „კორინთიანსი" დაამარცხა და მეშვიდე ადგილზე აცოცდა.

### ბერნარდუ ბიზარაეში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 22 | 13 | 4 | 5 | 48:30 | 43 |
| სან კაეტანო | 22 | 13 | 3 | 6 | 36:23 | 42 |
| სანტოსი | 23 | 11 | 6 | 6 | 43:30 | 39 |
| კორინთიანსი | 21 | 11 | 5 | 5 | 30:30 | 38 |
| ჟუვენტუდე | 22 | 11 | 4 | 7 | 31:24 | 37 |
| ატლ. მინეირო | 21 | 10 | 4 | 7 | 39:34 | 34 |
| ფლუმინენსე | 21 | 10 | 4 | 7 | 36:38 | 34 |
| კურიტიბა | 21 | 10 | 3 | 8 | 30:25 | 33 |
| გრემიო | 21 | 9 | 6 | 6 | 33:26 | 33 |
| გოიასი | 23 | 9 | 6 | 8 | 39:36 | 33 |
| ვიტორია | 21 | 9 | 4 | 8 | 36:31 | 31 |
| პონტე პრეტა | 22 | 9 | 4 | 9 | 30:28 | 31 |
| გუარანი | 21 | 8 | 4 | 9 | 26:29 | 28 |
| ატლ. პარანენსე | 22 | 7 | 7 | 8 | 32:28 | 28 |
| ფიგეირენსე | 22 | 8 | 3 | 11 | 30:38 | 27 |
| კრუზეირო | 21 | 7 | 6 | 8 | 30:36 | 27 |
| პორტუგეზა | 21 | 7 | 6 | 8 | 21:27 | 27 |
| ვასკუ და გამა | 21 | 8 | 2 | 11 | 27:31 | 26 |
| პაისანდუ | 21 | 8 | 1 | 12 | 31:40 | 25 |
| ფლამენგო | 22 | 7 | 4 | 11 | 33:35 | 25 |
| ბაია | 22 | 7 | 4 | 11 | 30:34 | 25 |
| ინტერნასიონალი | 21 | 6 | 7 | 8 | 31:32 | 25 |
| პარანა | 21 | 7 | 2 | 12 | 32:37 | 23 |
| პალმეირასი | 22 | 5 | 8 | 9 | 30:41 | 23 |
| გამა | 22 | 6 | 4 | 12 | 20:30 | 22 |
| ბოტაფოგო | 21 | 5 | 7 | 9 | 22:33 | 22 |



როდრიგუ ფაბრი


სპეციალიზირებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის მაგიდები
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
1000 მეტი დასახელება
Zeus
ზევსი
Billjardai
saluc
☎ 95-57-75, 95-86-46
ქ. თბილისი, ჯანაშია ქ. 2






ლუიშ ფელიპე სკოლარი, ბრანკო, კარლოს ალბერტო პარეირა და მარიო ზაგალო: მსოფლიოს თასი ოთხი წელი ისევ ჩვენია

# ბრაზილია გამგელდა

## მარიო ზაგალოს ერთი მატჩი აკმარეს

დრო გადის, პენტაკამპეონები კი კვლავაც უმწვრთნელოდ არიან. ლუიშ ფელიპე სკოლარის დაბრუნება საბოლოოდ გამოირიცხა. სამაგიეროდ, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეიშეირამ სამხრეთ კორეაში იქაურ ნაკრებთან 20 ნოემბერს დაგეგმილ ამხანაგურ მატჩზე ნაკრების დროებით მწვრთნელად მარიო ზაგალო მიიწვია.

„ბებერი მგელი" უკვე ერთი წელია, უსაქმოდაა. შარშან იგი „ფლამენგოდან" გაისტუმრეს და ზაგალომაც პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა, თუმც ტეიშეირას მიწვევას დაყაბულდა, თან დასძინა, ახლა სხვადასხვა კლუბებიდან 5 მიწვევა მაქვს და საქმე მხოლოდ ჩემს არჩევანზეაო.

ზაგალოს ნაკრების „ევროპელი" წევრების დასაძახებლად მცირე დრო რჩება. როგორც იცით, ფიფას წესებით, ნაკრები ვალდებულია, კლუბს მოთამაშე 15 დღით ადრე გამოსთხოვოს.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიას აგვისტოს მერე არ უთამაშია. მაშინ ნაკრები პარაგვაისთან დამარცხდა. ტეიშეირას კი ფეხბურთში პოლიტიკის გარევა დააბრალეს. საქმე ისაა, რომ გასახდელში ბრაზილიელებთან ქვეყნის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა სურათები გადაიღო.

კორეის მერე ბრაზილიას დეკემბერში აქვს დაგეგმილი ერთი ამხანაგური შეხვედრა, თუმცა მეტოქის ვინაობა ცნობილი არ არის. ნაკრების თავკაცის პოსტზე კი ფავორიტებად შიდა ჩემპიონატის პირველადგილოსან „სან პაულუს" მწვრთნელი ოსვალდო ოლივეირა და ისევ და ისევ ვანდერლეი ლუშემბურგო ითვლებიან.

სერგი ქორიძე

## სამხრეთული დარდუბალა

# მწვრთნელებსა სცემენ!

## გუნდმა გუნდზე გაიწია

### პარაგვაი

„12 დე ოქტობრემ" „გუარანი" 3:2 დაამარცხა და საჩემპიონო ამბიციები კიდევ უფრო გაიძლიერა. პარაგვაისა და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი „ოლიმპია" კი მეტად მნიშვნელოვან მატჩში ლუგუენოს „სპორტინგთან" ოდენ ქულას გამორჩა.

### ბოლივია

„სან ხოსესთან" 1:1-ის შემდეგ ცხრილის სათავეში „ორიენტე პეტროლიო" მოექცა, თუმც გაცილებით საინტერესო ამბები მინდვრის მიღმა დატრიალდა. სათადარიგოთა სკამზე ერთმანეთზე ჯერ მწვრთნელებმა გაიწიეს, შემდეგ კლუბების სხვა ოფიციალურმა პირებმა.

განსაკუთრებით „სან ხოსეს" პრეზიდენტი ხოსე სანჩესი აქტიურობდა. საბოლოოდ ინციდენტი „ორიენტეს" არგენტინელი მწვრთნელის, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონის ნესტორ კლაუსენის გაძევებით დასრულდა, მოედანზე კი კაცი მასპინძელ „სან ხოსეს" გაუგდეს უხეშობისათვის. სხვათა შორის, სტუმრებმა მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. თავისი 41-ე გოლი ჩემპიონატში კასტილიომ გაიტანა.

არ უთამაშია კოპა ლიბერტადორესის ფინალისტ „ბოლივარს". ხოსე ბრაუნის „ბლუმინგმა" კი ამჯერად სულ რაღაც 0:2 წააგო „იბეროამერიკანასთან" — შეგახსენებთ, რომ წინა კვირას „ბლუმინგმა", რომელიც ახალგაზრდული გუნდით თამაშობს, „ბოლივართან" 1:10 წააგო.

### კოლუმბია

ფაუსტინო ასპრილიამ თავის „ტულუას" მადგალენას „უნიონთან" 2:1 გამარჯვებაში წვლილი პირველი ტაიმის მიწურულს გატანილი გოლით დაიდო. „ტულუა" 25 ქულით მე-12 ადგილზეა. გაიმარჯვა მომქმედმა ჩემპიონმა „ამერიკამაც". ჩემპიონებმა კარტახენას „რეალი" დაამარცხეს და მე-3 ადგილზე არიან.

### პერუ

„ხუან აურიჩმა" ლიმას „ალიანსასთან" 0:3 წააგო. „აურიჩის" ფეხბურთელები თავიანთ მარცხს და საერთოდ ბოლო ხანებში ნაჩვენებ საზიზღარ შედეგებს 5 თვის მიუღებელი ხელფასებით ხსნიან. თავად „ხუან აურიჩს" კი სულაც ჩემპიონატიდან დისკვალიფიკაცია ემუქრება.

კლაუსურას დამთავრებამდე 5 ტურით ადრე პირველ ადგილზე „სპორტინგ კრისტალია" და უახლოეს მდევარ „ალიანსას" 10 ქულით უსწრებს და თუ მოიგო, პირველი წრის მომგებ „უნივერსიტარიოსთან" საჩემპიონო შეხვედრა ელის.

### ჩილე

ქვების სროლა მარტო ქართული მოვლენა არ ყოფილა. იგივე „უნივერსიდად კათოლიკას" ფანებმაც გააკეთეს. მოქმედი ჩემპიონი „კათოლიკა" „კოლომბოს" სტუმრად ეთამაშებოდა და კაცნაკლული აგებდა, როდესაც მისმა ფანებმა მასპინძელ ქომაგებს ქვები, და საერთოდ რაც ხელში მოხვდათ, დაუშინეს. მატჩი რამდენიმე წუთით შეწყდა, საბოლოოდ კი უნივერსიდადელებმა ბოლო წუთებზე გაათანაბრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალილუია: ალი და ლული სადაც ჯერ არს!

ეს ამბავი ციხიდან დაიწყო და უეჭველად ციხითვე დამთავრდება — 9 გარეწარი დაპატიმრებულია და ლონდონის „ჩარინგ ქროსის" საპოლიციო უბანში ჭიკჭიკებს.

თქვენ გინდოდათ ბექჰემის ფულები? — კითხულობს ხმამაღლა გამომძიებელი და „მე თქვენ დედებს..." მხოლოდ გულში ამბობს.

ახალი ჯერჯერობით არაფერია, საქმის ვითარებას კი გუშინდელ „სარბიელში" გაეცნობოდით — „სკოტლანდ იარდმა" ალბანურ-რუმინული იმ ბანდის 9 წევრი დააკავა, რომელსაც დევიდ ბექჰემის მეუღლის გატაცება და გამოსასყიდად ხუთი მილიონი გირვანქის მოთხოვნა ჰქონდა ჩაფიქრებული.

ახალი არაფერიაო, ვთქვით, მაგრამ ამ დანაშაულის „ნამდვილ" გამხსნელზე, გაზეთ „ნიუს ოფ ზი უორლდზე" არ მოგითხროთ, უბრალოდ ცოდვაა. სწორედ ამ ყოველკვირეულის მეცადინეობით ჩაიშალა აღმოსავლეთ ევროპელ ლტოლვილთა თავხედური განზრახვა.

„ნიუს ოფ ზი უორლდი" ტაბლოიდია, ანუ შარონ სთოუნზე უფრო მეტს წერს, ვიდრე არიელ შარონზე. ოღონდ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, მას და მისნაირებს „ყვითელი" ვუწოდოთ, რასაც ხშირად აკეთებს ატმოსფერულ ნალექებზე მომღერალ უპოზიციო „ვარსკვლავების" გამბუქებელი ჩვენებური მედია.

არადა, როცა გაზეთმა თავისი გულადი რეპორტიორი ბანდაში „მიავლინა", ბექჰემებზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. საქმე „სოტბისის" აუქციონიდან სამი კვირის წინ მოპარულ ძვირფასეულობას ეხებოდა: მანჩესტერის ერთ-ერთ ციხეში მყოფმა პატიმარ-ინფორმატორმა გაზეთის რედაქციას აცნობა, რომ იცოდა გაძარცვის ჩამდენთა ვინაობა. რედაქტორმაც გამომცემელთა ჯიბეზე ხელი დაიკრა, რეპორტიორს „ნაცდომის" ლეგენდა შეუთხზა (იმავე პატიმარ-ინფორმატორის წყალობით) და...

დამნაშავეთა ნდობის მოპოვება არაბი ეროვნების ჟურნალისტმა მალევე შეძლო და ეგ კი არა, ბანდაში მძღოლად მუშაობის წინადადებაც მიიღო — ცხადია, დათანხმდა. დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო — „ნიუს ოფ ზი უორლდის" რედაქტორს უკვე ხელთ ჰქონდა ფარული ჩანაწერები. მასზე ბანდის მეთაური, ლული აზემ კრიფშა, ამბობდა, რომ მე-18 საუკუნის არაბული გეირგვინი, 250 ათას გირვანქად შეფასებული, მათ მიერ გატაცებული ერთადერთი ნივთი არ იყო: „ჩვენ 4 მილიონის საქონელი მოვიპარეთ, მათ შორის ვიღაც ჰოლანდიელის ნახატიც".

ლულიმ სწორედ ჩვენი წერილის ნახევრად-ანონიმ გმირს შესთავაზა, გვირგვინი 45 ათასად გაგვაყიდინეო. რეპორტიორმა დრო ითხოვა და შემდეგ შეხვედრაზე დასტური განაცხადა. ძალიან კარგიო, უთხრეს და, მორიგი, უფრო შემოსავლიანი ოპერაციის დეტალებიც გააცნეს.

ალბათ მიხვდით, ეს ოპერაცია „ვიქტორია ბექჰემი" გამოდგა. საუბარი რესტორან „ატოკაში" შედგა, სადაც ლულის რუმინელი ადრიანი და ბანდის ყველაზე უმცროსი წევრი, 19 წლის ალი ახლდნენ. რეპორტიორი იხსენებს, რომ ლულის განზრახვას, ბექჰემს გატაცებულ მეუღლეში 5 მილიონი მოვთხოვოთო, წინ ადრიანი (ჩემი საუკეთესო მეგობარი „მაუზერიაო", უთხრა იქ მყოფებს და ჩუმად დაანახა) აღუდგა — ეგებ მილიონი ვიკმაროთ, ამხელა ფულს უცებ ვერ გადაგვიხდისო. მეთაურის პასუხმა, მაგისთვის ეგ ჭიქა ყავის თანხაა და თუ ერთ დღეში ჩვენს უცხოურ ანგარიშზე არ ჩარიცხავს, ვიქტორიას მოვკლავთო, ყველა დააკმაყოფილა.





დევიდ ბექჰემის ოჯახი გადარჩა

მოტაცების გეგმა კი ასეთი იყო: ვიქტორიას რჩეულ სავარცხელშრომში მომუშავე ნაცნობების წყალობით, ბანდიტები მისის ბექჰემს სწორედ სალონთან ჩაუსაფრდებოდნენ, ქლოროფორმს შეასხურებდნენ (სულ მცირე ნახევარი საათით გაითიშებაო, იმედოვნებდნენ) და მანქანის საბარგულში ჩატენილს ლონდონის სამხრეთულ უბან ბრიქსტონში ნაქირავებ ერთ უსაფრთხო ბინაში მიიყვანდნენ (მანქანა ამ ჩვენს რეპორტიორს უნდა ემართა და ამაში 15 ათასს დაპირდნენ). საქმე, სავარაუდოდ, შობის წინა პერიოდში უნდა მოეკვარახჭინებინათ.

...მაგრამ შაბათს, დღის 12 საათსა და 35 წუთზე, ჩვენთვის რეპორტიორმა, იმათთვის კი მძღოლმა, მობილურის ღილაკს თითი დააჭირა და „სკოტლანდ იარდის" ელიტარული S 019 ჯგუფის 12 წევრი მანქანიდან გადმოხტა. „ჰეკლერ ენდ კოხის" ავტომატების გამოყენება საჭირო არ გახდა — სამი ბანდიტი მიწაზე გაწვა. მოგვიანებით კიდევ 6 ეჭვმიტანილი, მათ შორის ერთი ქალი, ლონდონსა და მის შემოგარენში დააპატიმრეს...

თქვენ გინდოდათ ბექჰემის ფულები?

**გიგა კობახიძე**



ფედერაციის თასი. ფინალი

ესპანეთი 1:3 სლოვაკეთი

# ესპანურ ჩოგბურთს დეიდა უტირეს




გახარებულმა სლოვაკებმა ფეხმარდი და ფეხშვენიერი დანიელა ჰანტუხოვა ააბურთავეს

ამ უქმეებზე კანარის კუნძულებზე მომცრო ქალაქ მასპალომასში გამართულმა ფედერაციის თასის ფინალმა ზღვა ხალხი შეკრიბა. ეს თასი დევისის თასის ქალური ანალოგია. წლეულს გადამწყვეტ სერიაში ფინალის ლამის მარადი მონაწილე ესპანეთი ახალგაზრდულ სლოვაკეთს შეხვდა. დანიელა ჰანტუხოვას და ჟანეტ ჰუსაროვას სლოვაკეთმა ღირსეულად მოიგო, რითაც ბენეფისი ჩაუშწარდა ესპანური ჩოგბურთის მატრიარქს არანჩა სანჩეს-ვიკარიოს.

სპორტის ნებისმიერი სახეობის და ნებისმიერი დონის ტურნირის ფინალი მნიშვნელოვანი მოვლენაა და აღემატება წინარე შეხვედრებს. ინტერესი და ინტრიგა არც ამ სერიას მოკლებია. უფრო მეტიც, მოვლენები გაცილებით დრამატულად განვითარდა, ვიდრე საზოგადოდ მოსალოდნელი იყო.

სერიის პირველმა დღემ ვერავის მოუტანა უპირატესობა და თამაშები ამ კვირას 1:1 ანგარიშიდან გაგრძელდა. მესამე შეხვედრაში სლოვაკთა თინეიჯერი ლიდერი ტან-ფეხკოხტა დანიელა ჰანტუხოვა უიმბლდონის 1994 წლის ჩემპიონ კონჩიტა მარტინესს ხვდებოდა და თითქმის სამსაათ-ნახევრიანი ჯაფის შემდეგ 6:7 (8:10), 7:5, 6:4 გამარჯვებულმა დატოვა კორტი და სლოვაკეთი 2:1 დააწინაურა. ესპანეთს მომდევნო შეხვედრის მოგების გარდა არაფერი შველოდა, კანარელთა მთელი ყურადღება და იმედები ბებერ არანჩა სანჩეს-ვიკარიოს დაემყარა, მას აუცილებლად უნდა მოეგო ყმაწვილქალ ჟანეტ ჰუსაროვასთვის.

არანჩა ჭეშმარიტად გამორჩეული ფიგურაა ქალთა ჩოგბურთში, იმ ეპოქაში, როცა ვარსკვლავები სანაკრებო ჩოგბურთს ცხვირს უბზუებენ, ის ბოლომდე რჩება ყვითელ-წითელი დროშის ერთგული და ფედერაციის თასის გათამაშებაში არაერთ რეკორდსაც ჰყრობს. მაგალითად, მისთვის ეს იყო მე-100 შეხვედრა, ასევე სარეკორდო 58-ე სერიიდან. ამ სახის ტურნირებში მას ყველაზე მეტიც მოუგია, წინა 99 მატჩიდან 72. ის ყოველთვის ქალური ჯიგრით ეომება მეტოქეს, ასე რომ, მისი იმედი ჰქონდათ ესპანელებს. უმრავლესობის პროგნოზით, არანჩა მოიგებდა, ანგარიშს გაათანაბრებდა და თასის ბედიც წყვილთა თამაშში გადაწყდებოდა, მაგრამ...

„როცა აზრზე მოვედი, 0:5 ვაგებდი, მერე კი ველარაფერი მოვახერხე" — ამბობდა ნამატჩევს თვალებდანამული არანჩა. მგონი, ის ვერც ნამატჩევს მოვიდა აზრზე. მან პირველი სეტი პირწმინდად 0:6 წააგო და ვერც მეორეში ჩანდა რაიმეს გამკეთებელი. ბოლო სეტი რომ დაიწყო, ვიღაც თავგამოდებულ ქომაგს მისთვის დაუღრიალია, თუ თამაშის თავი არ გქონდა, რას მოეტენებოდი, მაგუი სერნასთვის დაგეთმო თამაშიო, რამაც საბოლოოდ არია საბრალო გოგო (უფრო დეიდა). ხალხმა არ გაიზიარა არანჩასთვის პირში მოძრახის პოზიცია, პირიქით, ტრიბუნები ჩოგბურთელს გამოექომაგნენ, რომელიც უკვე შესამჩნევად სლუკუნებდა და მის შემწუხებელს მოსთხოვეს, გარეთ გათრეულიყო. მონასტერი აირია და თამაში 10 წუთით შეწყდა. ხალხმა აპლოდისმენტებით სცადა სანჩეს-ვიკარიოს დაწყნარება და რამდენიმეწუთიანი ოვაციაც გაუმართა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, ჰუსაროვამ მეორე სეტი 6:2 გამარჯვებით დაასრულა და მშობლიურ სლოვაკეთს პირველად მოუტანა ჩემპიონობა.

„მე მხოლოდ ადამიანი ვარ და ისევე ვგრძნობ, როგორც სხვა" — ამბობდა გულამოსკვნილი არანჩა. კარიერის დაისზე მან ვერ შეძლო ესპანეთის მეექვსედ გაჩემპიონება. არც გედის სიმღერა გამოუვიდა.

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეირჩიეთ შრიფტი ისტორიისთვის!
# მგოლოგიურად სუფთა დანკანი
## ეგო ცენტრი გარნეტი

5 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი 106:82 მინესოტა**

**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (22), მარისი (16), კოტლზი (14), მარტინი (13)
**მინესოტა:** გარნეტი (23 ქულა, 10 მოხსნა)

**ტორონტო 109:105 ჩიკაგო**

ძირითადი დრო 94:94
**ტორონტო:** ე. უილიამსი (25), ლენარდი (23), პანტერი (23)
**ჩიკაგო:** მარშალი (32 ქულა, 17 მოხსნა), როუზი (24)

**ნიუ იორკი 88:97 მილუოკი**

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (28), ტომასი (14 ქულა, 16 მოხსნა)
**მილუოკი:** კასელი (22), რედი (19), ალენი (17)

**დალასი 107:100 გოლდენ სტეიტი**

**დალასი:** ნეში (30), ნოვიცკი (24), ფინლი (17)
**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (39), არენასი (22), ჯემისონი (21)

**მემფისი 101:103 სან ანტონიო**

ძირითადი დრო 90:90
**მემფისი:** გასოლი (22 ქულა, 9 მოხსნა, 6 დაფარება, 5 პასი), უილიამსი (19), ბეტიე (14)
**სან ანტონიო:** დანკანი (29 ქულა, 14 მოხსნა), როუზი (23), პარკერი (22)

**ფინიქსი 82:84 დეტროიტი**

**ფინიქსი:** მარბერი (15 ქულა, 10 პასი), მარიონი (14)
**დეტროიტი:** ჰამილტონი (22), უილიამსონი (14)

სანამ სეზონი დაიწყებოდა, „ნიუ ჯერსის" ყოჩმა ჯეისონ კიდმა დაიქადნა, რეგულარულ ჩემპიონატში 60 თამაშს მოვიგებთო. მისმა გუნდმა სადებიუტო რიხი ბოლომდე რომ შეინარჩუნოს, იქნებ 70-იც ეცოტავოს და ვინძლო „ჩიკაგო ბულზის" ექვსი წლის წინანდელ და იმთავითვე უკვდავად შერაცხულ რეკორდს, 72 გამარჯვებასაც გასწვდეს.

კიდი ახლაც ყოჩობს, წინა სეზონის სხვა თავგამოჩენილებიც თავისას აკეთებენ, მაგრამ თუკი ამათი მწვრთნელი ბაირონ სკოტი წინსვლას გეგმავს, ამას ძირითადად „ახალი სისხლის" შემხედვარე აკეთებს, ახლებში კი პირველ რიგში თვალსაჩინოდ გამოიკვეთა შარშანდელი ახალბედა რიჩარდ ჯეფერსონი, ვინაც კიტ ვან ჰორნის „ფილადელფიაში" გადაბარგების შემდეგ საპოხივით მოეცხო ჯერსელთა მექანიზმს.

სოლიდურ „მინესოტასთან" იოლად მოგებულ შეხვედრაში ჯეფერსონი საუკეთესო იყო და ეს მონაგარშიც აისახა — კარიერაში უმეტესი, 22 ქულა ჩაიწერა და ქომაგებს ტაში შემოაკვრევინა, ეს რა ბიჭი გვეზრდებაო.

კიდი იმ დღეს არ იყო თამაშის იშტაზე, მაგრამ ამით „მინესოტას" რა ხეირი. ფიცხი და გულზვიადი კევინ გარნეტი ჯეფერსონის თარეშის შემხედვარე გულზე გასკდა და ყმაწვილ ნიუჯერსელს მეორე მეოთხედში წაეკიდა კიდეც. მსაჯებმა ერთმანეთზე გაწეულები ტექნიკურებით დააშოშმინეს და ამით ისევ მასპინძლებმა იხეირეს. ჯეფერსონი ვერ დააშინა ავტორიტეტიან ვეტერანთან წაჩხუბებამ, პირიქით, გულზე მოვიდა და გარნეტს და მისიანებს მესამე მეოთხედში 17 ქულა უმარჯვა. მატჩის ბედიც აქ გადაწყდა, „მინესოტამ" 22:39 წააგო ეს თორმეტწუთეული და ჯამში 22 ქულით ჩამორჩენილმა ხელი აიღო ბრძოლაზე.

ნამატჩევს გარნეტს დანა პირს არ უხსნიდა. ერთი თქვა „ნიუ ჯერსიზე", კარგი გუნდიაო და გასახდელში შეყო თავი. მერეც კარგა ხანს ვერ დაშოშმინდა და ალბათ კიდევ დიდხანს ვერ იგრძნობს თავს ბედნიერად როგორც კალათბურთელი, ყოველ შემთხვევაში იქამდე, სანამ „მინესოტა" ნალდ ელიტაში არ გაერევა და გარნეტი მეფედ არ იქცევა. საამისოდ მან საკუთარ ეგოს უნდა გამოუცხადოს ბრძოლა და წელიწადში 30 მილიონის დათრევაზე მეტად თანაგუნდელთა დახმარებასა და საერთოდ, გუნდურ თამაშზე იფიქროს.

გარნეტს არ აწყენდა, ტიმ დანკანისგან აელო მაგალითი. დაახლოებით მისი ზომა-წონის და გაქანების, მაგრამ ემოციურად გაწონასწორებულ დანკანს გაცილებით მსხვილი შრიფტით ჩაიწერს ისტორია, ვიდრე მის მინესოტელ მეგობარს, თუმც კი ფაქტია, დანკანს ეს გარნეტზე ნაკლებ მხურვალედ სურს. სანანტონიოელი ოქრობიჭუნა განსაკუთრებული ხელფასის გარეშეც მშვიდად აკეთებს თავის საქმეს და თუმც მინესოტელზე ნაკლები ხანია ნბა-შია, ჩემპიონობაც მოასწრო და სეზონის უძვირფასესის პრიზიც შეხვდა.

ამ ორშაბათს დანკანი და მისი რაზმი მემფისს სტუმრობდნენ და მოუგეს კიდეც იქაურ „დათვებს", რისთვისაც მათ ოვერტაიმიც დასჭირდათ. დანკანის რკინისებურ ნერვებზე და ოლიმპიურ სიმშვიდეზე ბევრის თქმა და ათეულობით მაგალითის მოყვანა შეიძლება. ერთ-ერთი მაგალითი გუშინწინდელი თამაშია. „სან ანტონიომ" ვერ მოახერხა „მემფისის" ოთხ მეოთხედში მოდრეკა. მართალია, „გრიზლიზი" ამ სეზონში ჯერაც მოუგებელია, მაგრამ ეს გუნდი ახლა როგორც არასდროს ისე მოძლიერებულა და ძველი გულგრილობით როდი თმობს ყოველ შეხვედრას. იმას ვამბობდით, „სან ანტონიო" იძულებული გახდა, ოვერტაიმშიც გარჯილიყო გამარჯვების საფასურად. ოვერტაიმში კი მასპინძლები ისევ მტკიცედ იდგნენ, როგორც მანამდე 48 წუთის განმავლობაში. მეტიც, მათმა გამთამაშებელმა, ცანცარა ჯეისონ უილიამსმა გამოუცდელ ოპონენტ ტონი პარკერს რამდენიმე შეტევაში აჯობა და „მემფისი" 101:96 დაწინაურდა დამატებითი დროის მე-4 წუთზე. სწორედ აქ ივარგა დანკანმა, ყოველგვარი პანიკის გარეშე გასწია ლიდერობა და ერთწუთიანი მონაკვეთი გუნდს 5:0 მოაგებინა. მანვე ზედ სირენასთან ერთად ჩააგდო გამარჯვების მომტანი ბურთი. ახალი წესის თანახმად, მსაჯებმა მისი სროლის ვიდეოგამეორება მოითხოვეს, რამაც დაადასტურა, რომ ბურთი თამაშისთვის განკუთვნილ დროში იქნა ნასროლი. მოთამაშის ხელიდან გაშვების შემდეგ სირენამდე კიდევ რჩებოდა 0,8 წამი...

ასევე დამატებითი დროის დანიშვნის საჭიროება წარმოიშვა ტორონტოში, იქაურ „რეპტორზსა" და ჩიკაგოურ „ბულზს" შორის შეხვედრაში. „ჩიკაგომ" სეზონი გარკვეული ამბიციებით დაიწყო და პირველი ორი თამაშიც მოიგო, რაც ამ ახალგაზრდული გუნდის ორად ორი ვეტერანის — ჯალენ როუზის და დონიელ მარშალის დამსახურებაა. „ხარების" მწვრთნელმა, თავადაც „ხარყოფილმა" ბილ კარტრაიტმა შეგირდებს ახლაც გამარჯვება დაუგეგმა და დაწვრილებით აუხსნა მათ, როგორ უნდა გამოეყენებინათ მასპინძელთა ორი ოლსტარელის — ვინს კარტერისა და ანტონიო დევისის არყოფნა. ამათაც ყველაფერი კარგად გააკეთეს, განსაკუთრებით იმ ორმა ვეტერანმა და განსაკუთრებით მეოთხე მეოთხედში. „ჩიკაგომ" უკანასკნელი თორმეტწუთეული 18-ქულიანი ჩამორჩენით დაიწყო და მოახერხა შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანა, მაგრამ გამარჯვება მაინც მასპინძლებს ერგოთ. „ჩიკაგოს" მოსაგებად არ ეყო დამატებით ხუთწუთეულში წვალებით მონახვეჭი 11 ქულა. გამარჯვებულ მასპინძელთაგან კი სამი უკანახაზელის — ელვინ უილიამსის, ლინდსი პანტერისა და ვოშონ ლენარდის გარდა აფრიკელი ოქლაქი მამადუ ნდაიე უნდა გამოვარჩიოთ, რომელმაც ამ შეხვედრაში კარიერაში უმეტესი, 12 ქულა და ასევე პირადსარეკორდო 8 დაფარება მიითვალა.

**ირაკლი ფირცხალავა**



REUTERS

„ტორონტოს" ლიდერები, იძულებით პიჯაკმოსხმული ანტონიო დევისი და ვინს კარტერი ბევრს და ამაოდ ნერვიულობდნენ „ჩიკაგოსთან" მატჩისას

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 4 | 0 | 1,00 |
| ორლანდო | 3 | 1 | 0,75 |
| ფილადელფია | 2 | 1 | 0,66 |
| ბოსტონი | 1 | 2 | 0,33 |
| მაიამი | 1 | 2 | 0,33 |
| ვაშინგტონი | 1 | 2 | 0,33 |
| ნიუ იორკი | 0 | 4 | 00,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 3 | 1 | 0,75 |
| ატლანტა | 2 | 1 | 0,66 |
| ინდიანა | 2 | 1 | 0,66 |
| ნიუ ორლეანი | 2 | 1 | 0,66 |
| ჩიკაგო | 2 | 2 | 0,50 |
| ტორონტო | 2 | 2 | 0,50 |
| კლივლენდი | 1 | 2 | 0,33 |
| მილოუკი | 1 | 2 | 0,33 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 3 | 0 | 1,00 |
| სან ანტონიო | 3 | 1 | 0,75 |
| ჰიუსტონი | 2 | 1 | 0,66 |
| მინესოტა | 2 | 2 | 0,50 |
| დენვერი | 1 | 2 | 0,33 |
| იუტა | 1 | 3 | 0,25 |
| მემფისი | 0 | 4 | 0,00 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 3 | 0 | 1,00 |
| საკრამენტო | 3 | 1 | 0,75 |
| ლეიკერსი | 2 | 2 | 0,50 |
| კლიპერსი | 1 | 2 | 0,33 |
| გოლდენ სტეიტი | 1 | 3 | 0,25 |
| ფინიქსი | 1 | 3 | 0,25 |
| პორტლენდი | 1 | 3 | 0,25 |



მანუჩარ მარკოიშვილი ახლა იტალიურ ფარებს უტევს

*მანუჩარ მარკოიშვილი დადარაჯებულია: რომელიმე ბენეტონელი თუ დაშავდა, დაუყოვნებლივ საჩემპიონატო განაცხადში ხვდება და ტრევიზოულ კლუბს თავისი, არცთუ უშედეგო გარჯით ადგება კიდეც*

# გამოუძახეთ მანუს!
## ბენეტონი მანუჩარ მარკოიშვილს სასწრაფო დახმარებაში ამუშავებს

**მარკოიშვილმა** ორი კვირის წინ ითამაშა პირველად იტალიის სერია A-ში — ნეაპოლის „პომპეას" 13 წუთში 6 ქულა ჩაუგდო. მაშინ ხორვატი კრასიმირ ლოჩარი დაშავდა და საჩემპიონატო განაცხადში არაევროკავშირელთათვის გამოთავისუფლებული მეოთხე ადგილი ქართველმა დაიკავა. ამ კვირას ლოჩარი სად-სადამათი იყო, მაგრამ მწვრთნელმა ეტორე მესინამ ჩვენებური სწორედ ხორვატის ნაცვლად შეიყვანა „ფაბრიანოსთან" მატჩის განაცხადში.

— „ბენეტონის" უკანახაზელები — მარიო სტოიჩი და მასიმო ბულერი დაშავებულნი იყვნენ, მესინამ ამიტომაც გადაწყვიტა ვეთამაშებინე. მწვრთნელს განაცხადში რომ შევეყვანე იქიდან ერთი არაევროკავშირელი უნდა ამოეგდო და დასვენებაც ცენტრ კრასიმირ ლოჩარს მოუწია — გვითხრა მარკოიშვილმა გუშინ, ტრევიზოში რომ შევეხმიანეთ.

„ბენეტონს" „ფაბრიანოსგან" საფრთხე არ ემუქრებოდა, ტრევიზოელთა მეტოქე ცხრილის ფსკერზეა და მესინასაც უშიშრად შეეძლო ქართველის გამოცდა. მარკოიშვილი მოედანზე მეორე მეოთხედიდან შევიდა და ჯამში 19 წუთი ითამაშა.

— „ფაბრიანო" სუსტი გუნდია, ჩემს მაგივრად ნებისმიერს რომ ეთამაშა, მაინც მოვუგებდით, მაგრამ მესინამ ალბათ შემთხვევით ისარგებლა და შენი მოქაცულად არ მითამაშია, მაგრამ საბოლოოდ მაინც არ ვარ კმაყოფილი. საკმაოდ დიდი ხნით ვიყავი მოედანზე — 19 წუთში მეტის გაკეთება შემეძლო, სამწუხაროდ, მხოლოდ 5 ქულა მოვაგროვე. უფრო დაცვაში ვითამაშე კარგად.

მარკოიშვილმა სამი სამქულიანი ტყორცნა და ერთი ჩააგდო, ასევე სამიდან ერთხელ იხეირა ორიანით. მის ანგარიშზეა ასევე 5 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა.

— ყველაზე მეტად აკილებული სამიანების გამო მწყდება გული. ვარჯიშებზე ისე ზუსტად ვესვრი, რომ „ფაბრიანოსთან" ნაჩვენები შედეგი ჩემთვის იმედგაცრუება იქნება. ისე კი, მწვრთნელი სულ მეუბნება, შესაძლებლობა არ გაუშვა, ყველა სასროლი ესროლე და აცილებულზე ნუ იდარდებო. მეც ვცდილობ, არ ვიდარდო და ალბათ მალე თამაშიდანაც ხშირად ჩავაგდებ. ერთი კია, თუ აქამდე არა მარტო სროლისას ვიბნეოდი, არამედ მოედანზეც შიშით გავდიოდი, ახლა ევროპის ვარსკვლავებთან უფრო გაბედულად ვთამაშობ. ევროლიგის მატჩებში მოედანზე 3-5 წუთით გავდივარ და მაშინაც რომ ჩემი მეტოქეების გვარ-სახელებზე ვიფიქრო, არაფერი გამოვა.

„ბენეტონმა" საბოლოოდ 44 ქულით დაამარცხა „ფაბრიანო" და სერია A-ს ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა. ჩემპიონებს ამ სეზონში ერთი მარცხი აქვთ — ტრევიზოელები წინა ტურში ბოლონიაში „კინდერთან" დამარცხდნენ 3 ქულით. ითამაშებს თუ არა მარკოიშვილი მომდევნო მატჩებში, უპირველესად ბენეტონელთა ჯანმრთელობაზე ჰკიდია.

— სტოიჩს კოჭი აწუხებდა, ბულერის — საზარდული. ახლა ორივენი ვარჯიშობენ და მომავალ ტურში ერთ-ერთი მაინც ითამაშებს. ჩემი მოედანზე გასვლაც მათ ტრავმებზეა დამოკიდებული, თუ არ გამოჯანმრთელდებიან, მესინა სავარაუდოდ ისევ მათამაშებს — გვითხრა საუბრის ბოლოს მარკოიშვილმა.

**ირაკლი ბერტაია**




ჰეი აილენდერსელმა ერიკ კეირნსმა (№33) ნუთუ არ იცისო?! აგერ, რა დღეში ჩააგდო კალგარელი კრეიგ ბერუბე

## რეგულარული ჩემპიონატი

# მსმენი ხომ არაფერს შემპარებენ!

4 ნოემბერი

**აილენდერსი 2:4 კალგარი 0:1 2:1 0:2**
**0:1 კონროი (10), 0:2 იუმანსონი (23), 1:2 პამრლიკი (25), 2:2 იაშინი (37), 2:3 დრური (42), 2:4 კობასიუ (54)**

აილენდერსის კაპიტანმა მაიკ პეკამ უჩვეულოდ სწრაფად მოირჩინა ტრავმა და ამ თამაშში მოედანზეც გამოჩნდა. თან იმ საღამოს ტორონტოში „დიდების დარბაზში" სახელოვანი კლარკ ჟილი აირჩიეს. 80-იან წლებში სწორედ ჟილი-ტროტიებოსის ლეგენდარული ტრიო გახლდათ გუნდის ზედიზედ ოთხი ტრიუმფალური სეზონის (1980-83) სულისჩამდგმელი. ამ სამეულის ყველაზე მოკრძალებულ წარმომადგენელს, კლარკ ჟილს, როგორც იქნა, ერგო „დიდების დარბაზში" არჩევის პატივი, ყოფილი პარტნიორების დარად. 4 ნოემბერს გუნდის კიდევ ერთი ლიდერის ალექსეი იაშინის დაბადების დღეც იყო და მან ეს გოლით აღნიშნა, მაგრამ... ვერ უშველა აილენდერსს ესოდენ შთამბეჭდავმა დღემ — კალგარის ლიდერად ქცეულმა კრის დრურიმ მცველთა შეცდომით ისარგებლა და თავისიანები დააწინაურა, როგორც გაირკვა, საბოლოოდ.

**კოლორადო 2:4 ვანკუვერი 1:2 0:1 1:1**
**1:0 პეიდუკი (11), 1:1 კლეტი (16), 1:2 ნესლუნდი (19), 1:3 ბერტუცი (36), 2:3 მორისი (43), 2:4 მორისონი (47)**

კოლორადოს ჯერჯერობით შინ არ მოუგია. დენვერელებმა ნესლუნდ-მორისონ-ბერტუცის წამყვან სამეულს ვერაფერი დაუპირისპირეს.

**ლოს ანჯელესი 2:5 მინესოტა 1:1 0:1 1:3**
**0:1 გაბორიკი (3), 1:1 ფროლოვი (16), 1:2 გაბორიკი (27), 1:3 რონინგი (58), 2:3 მოდრი (59), 2:4 გაბორიკი (59), 2:5 ლააკსონენი (60)**

21 წლის სლოვაკი მარიან გაბორიკი მხოლოდ მესამე სეზონია, ლიგაში თამაშობს, მაგრამ თუ ასე გააგრძელა, ახალი თაობის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი გახდება. მან ლოს ანჯელესის ესოდენ ნაქებ დაცვას თავგზა აუბნია. მარტო მისი მეორე გოლის ხილვა რად ღირდა. უმცირესობაში ყოფნისას გაბორიკმა სწრაფად აუარა გვერდი გამოცდილ მეტიუ შნაიდერს, მერე კი არანაკლებ ოსტატურად გაუმკლავდა მეკარე ჯეიმი სტორისაც. მესამე გოლი მან ცარიელ კარში გაიტანა და უკვე მეორეა, ვინც სეზონში 10-შაიბიან ზღვარს უწია.

„მე სამი უდიდესი მოთამაშის — ბრეტ ჰალის, ალექს მოგილნისა და პაველ ბურეს პარტნიორობის ბედნიერება მქონია. მერწმუნეთ, გაბორიკს სამივეს საუკეთესო თვისებები აქვს. თანაც ახალგაზრდაა და ვინ იცის, რა დონის ოსტატი გახდება" — აღტაცებით აღნიშნა მისმა გამოცდილმა თანაგუნდელმა კლიფ რონინგმა მატჩის შემდეგ.

## თვის მოთამაშე

### მარიო ლემიე (პიტსბურგი)



ახალი წესების შემოღება იმდაც ღირდა, რაც [illegible] ვინ იცის, მერამდენე „ყვავილობას" მოგვასწრო. პიტსბურგის 37 წლის ლიდერმა სექტემბერში ძველი, ნანატრი დრო დაიბრუნა, როცა 10 თამაშში 8-ჯერ ქულაზე მეტი მოიხვეჭა და საბოლოოდ 23 ქულას მოუყარა თავი (6 გოლი, 17 პასი), რითაც უახლოეს კონკურენტს 8-ით გადააჭარბა. საუკეთესო კი ტორონტოსთან (5:4) მატჩი აღმოჩნდა, რომელშიც მან 2 გოლი და 2 პასი მიითვალა. ასეთ გამორჩევას ალბათ თავად მარიოც ვერ წარმოიდგენდა. რაც მთავარია, მისი შემწეობით პიტსბურგმა ბოლო წლებში საუკეთესო სტარტი აიღო. ეს მე-14 ლაურეატობაა მარიოს ბრწყინვალე კარიერაში.

**საუკეთესო ექვსეული**

*ნიკოლაი ხაბიბულინი (ტამპა, 1); ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი, 1) — სერგეი ზუბოვი (დალასი, 1); მარტინ სენტ ლუისი (ტამპა, 1) — მარიო ლემიე (პიტსბურგი, 1) — ალექსეი კოვალიოვი (პიტსბურგი, 1)*

## კვირის მოთამაშე

### ჯო საკიკი (კოლორადო)



სამი თამაში, სამი დუბლი! ასეთი ჩინებული შედეგით წლეულს ჯერ ვერავინ დაიკვეხნის. ადრეც კი, ბომბარდირისთვის ოქროს ხანაშიც ეს არაჩვეულებრივ შედეგად ითვლებოდა. ცხადია, ასეთი „გოლთაცვენის" შემდეგ კოლორადოელ ჯო საკიკს კონკურენტი არ ეყოლებოდა, მით უმეტეს, რომ ამ 6 გოლს დენვერელთა კაპიტანმა 1 პასიც დაამატა და 7 ქულით საუკეთესო იყო გასულ კვირაში. მან ესეც არ იკმარა. „არაორდინალურმა ჯომ" ამ 7 დღეში ნაყოფიერების კოეფიციენტითაც (+7) ყველას აჯობა და მეგოლეთა დავაში 9 გოლით მეორე ადგილზე დადგა.

**საუკეთესო ექვსეული** (28 ოქტომბერი — 3 ნოემბერი)

*ფრედ ბრეტუაიტი (სენტ ლუისი, 1); ლუბომირ ვიშნოვსკი (ლოს ანჯელესი, 1) — ბარეტ ჯეკმენი (სენტ ლუისი, 1); პოლ კარია (ანაჰაიმი, 1) — ჯო საკიკი (კოლორადო, 1) — მარიო ლემიე (პიტსბურგი, 2)*

| ატლანტიკა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 11 | 8 | 2 | 0 | 1 | 42:22 | 18 |
| პიტსბურგი | 11 | 7 | 2 | 0 | 2 | 40:33 | 16 |
| ნიუ ჯერსი | 9 | 7 | 0 | 0 | 2 | 24:14 | 14 |
| რეინჯერსი | 14 | 4 | 2 | 0 | 8 | 32:47 | 10 |
| აილენდერსი | 12 | 3 | 1 | 0 | 8 | 29:47 | 7 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 11 | 7 | 2 | 0 | 2 | 37:29 | 16 |
| მონრეალი | 11 | 4 | 4 | 0 | 3 | 31:35 | 12 |
| ოტავა | 9 | 4 | 1 | 0 | 4 | 21:20 | 9 |
| ბუფალო | 12 | 3 | 3 | 0 | 6 | 26:28 | 9 |
| ტორონტო | 12 | 3 | 2 | 0 | 7 | 37:39 | 8 |

| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპა | 12 | 7 | 2 | 0 | 3 | 44:32 | 16 |
| კაროლინა | 12 | 5 | 2 | 1 | 4 | 28:30 | 13 |
| ვაშინგტონი | 12 | 5 | 1 | 0 | 6 | 25:33 | 11 |
| ფლორიდა | 12 | 4 | 1 | 1 | 6 | 27:40 | 10 |
| ატლანტა | 11 | 1 | 1 | 1 | 8 | 30:43 | 4 |
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 10 | 8 | 1 | 0 | 1 | 41:18 | 17 |
| დეტროიტი | 12 | 6 | 2 | 0 | 4 | 42:33 | 14 |
| ჩიკაგო | 11 | 5 | 1 | 0 | 5 | 25:28 | 11 |
| კოლუმბუსი | 11 | 5 | 1 | 0 | 5 | 31:31 | 11 |
| ნეშვილი | 11 | 1 | 1 | 4 | 5 | 24:37 | 7 |

| ჩრდილო-დასავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მინესოტა | 13 | 9 | 2 | 0 | 2 | 45:28 | 20 |
| ვანკუვერი | 13 | 5 | 4 | 0 | 4 | 35:34 | 14 |
| კოლორადო | 12 | 4 | 4 | 2 | 2 | 33:28 | 14 |
| კალგარი | 12 | 4 | 3 | 2 | 3 | 35:36 | 13 |
| ედმონტონი | 11 | 3 | 3 | 1 | 4 | 27:29 | 10 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 13 | 6 | 3 | 1 | 3 | 40:32 | 16 |
| ლოს ანჯელესი | 12 | 6 | 2 | 1 | 3 | 37:33 | 15 |
| ფინიქსი | 13 | 5 | 0 | 1 | 7 | 28:42 | 11 |
| სან ხოსე | 11 | 4 | 0 | 1 | 6 | 29:38 | 9 |
| ანაჰაიმი | 12 | 3 | 3 | 0 | 6 | 31:37 | 9 |

# რუსები საკუთარ მკვდარს აცოცხლებენ

## წამალი ისაა, ყველამ რომ იცის: ფული, დიდძალი ფული!

**რუსულ ჰოკეიში** საკმაოდ მოულოდნელი და უჩვეულო ამბები ტრიალებს — ფული მოვიდა, დიდძალი ფული და ბოლო ორი სეზონია, რუსეთის პირველობაში უამრავი საკმაოდ სახელიანი ჰოკეისტი ჩაება. მარტო იმ რუსებს არ ვგულისხმობთ, რომლებიც აქამდე ნჰლ-ში თამაშობდნენ. თუმც სერგეი ნემჩინოვის, ალექსანდრ კოროლიუკის, ანდრეი კოვალენკოსა და ბევრი სხვა მოთამაშის შინ დაბრუნება თავისთავად ბევრზე მეტყველებს. ისინი ხომ ნჰლ-ში საკმაოდ სოლიდურ მოთამაშეებად ითვლებოდნენ. ნემჩინოვი, მაგალითად, თასის ორგზის მფლობელია. მაგრამ საქმე მარტო რუსებში როდია. ჩეხები, შვედები, სლოვაკები და თვით კანადელებიც კი ტოვებენ სამშობლოს და რუსეთში თამაშს არჩევენ. განსაკუთრებით ჩეხები აქტიურობენ, თვით მწვრთნელებიც კი. ივან პლინკა, რომელიც ჯერ კიდევ შარშან პიტსბურგს წვრთნიდა, ახლა ომსკის „ავანგარდს" თავკაცობს. მის გუნდში კი ჩეხური სამეული გამოდის — პროხაზკა-პატერა-ვლასაკი. სამივეს ნჰლ-ში უთამაშია.

ცხადზე ცხადია, რომ ამ ყველაფერს დიდი ფულის სუნი უდის, თუმც გუნდის ბოსები ციფრების დასახელებისგან თავს იკავებენ. ისე, ღარიბი გუნდების მესვეურები უფრო გულახდილნი არიან. მაგალითად, „კრილია სოვეტოვის" პრეზიდენტმა ალექსანდრ გომელსკიმ თქვა, ჩვენი ბიუჯეტი 6 მილიონ დოლარს შეადგენსო და ისიც დასძინა, „აკ ბარსი" ლამის ოთხჯერ გვაჭარბებსო. გამოდის, ლიგის ერთ-ერთი ლიდერის სალაროში 20-24 მილიონი დოლარია, რაც გვარიანი თანხაა. არიან გუნდებიც, რომლებიც 5-8 მილიონს ასახელებენ. აქვე გეტყვით, რომ ნჰლ-ის ყველაზე ღარიბი გუნდების ბიუჯეტი დაახლოებით 20 მილიონია, თუმც ეს მხოლოდ მოთამაშეთა ჯამური ხელფასის ოდენობაა.

ერთი სიტყვით, რუსეთის ჰოკეის 18-გუნდიან სუპერლიგაში 200 მილიონი დოლარი მაინც ბრუნავს, ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სფერო მომგებიანია. არადა, რუსულ პრესაში მაინც ატყდა განგაში. ეს იმიტომ, რომ კლუბების მოგება სულაც არ შეესაბამება მათ მიერ გაწეულ ხარჯებს.

ნჰლ-ში გადასული მოთამაშის კომპენსაცია მაქსიმუმ 250 ათასი დოლარია. თან ერთი გუნდიდან ორი-სამი ჰოკეისტი თუ წავა ამერიკაში. საშინაო მატჩებში შემოსავალი სეზონში 150-200 ათასს თუ აღწევს. რეკლამისგან მოგება ბევრი არაფერია, ვინაიდან გუნდები ამ მხრივ ძირითადად მეპატრონეებს ემსახურებიან. დასკვნა ნათელია — ჰოკეი რუსეთში წამგებიანია და ამას არც მალავენ. „სპარტაკის" მხრადამჭერი ფონდის ხელმძღვანელის, ცნობილ პოლიტიკოს იგორ შაბდურასულოვის თქმით, ვერც ერთი გუნდი 20 პროცენტითაც ვერ ფარავს ხარჯებს და ჰოკეი მხოლოდ „გიჟების" ხარჯზე არსებობს. ალექსანდრ გომელსკი უფრო გულახდილია, როცა ამბობს, ჰოკეი დღეს ბიზნესი როდია, ეს საჩნის ბუშტია, რომელშიც ვიღაცეები თანხას საკუთარი პრესტიჟისა თუ ფულის გათეთრების მიზნით დებენო.

აქედან გამომდინარე, რუსულ ჰოკეის ორი საფრთხე ემუქრება. პირველი: თუ ფინანსური რბოლა გაგრძელდება და ინვესტიციები კიდევ უფრო გაიზრდება, ზოგიერთი კლუბი ვეღარ გაუძლებს კონკურენციას და იძულებული იქნება, შეჯიბრებას გამოეთიშოს. ასეთი პრეცედენტები იყო კიდეც ქვედა ლიგებში და აკი ზოგი ვარაუდობს, მომავალში რუსეთის ჩემპიონატი ყოფილი გდრ-ის პირველობას დაემსგავსება, სადაც ორი გუნდი ერთმანეთს 16-ჯერ შეხვდება. მეორე: სპონსორული დოტაციები ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს ან სერიოზულად შემცირდეს. არც ერთი სპონსორი არ დებს გუნდთან მრავალწლიან კონტრაქტს. ასევე არიან მოთამაშეებიც, რომელნიც ყოველ ახალ სეზონში ახალ კლუბს ეტებენ.

დღესდღეობით დაფინანსების წყაროები ასეთია: ადგილობრივი ხელისუფლება, ბიზნესი ან მათი ერთობლიობა. ზოგან საკმაოდ მძლავრი მხარდაჭერაა — ვთქვათ, მოსკოვის მერია და „ავტოვაზი", მაგრამ ბევრ გუნდს არჩევანი არა აქვს და, ვთქვათ, თუ უფაში ხელისუფლება შეიცვლება, ხოლო მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი გაკოტრდება, ჰოკეისაც არ დაადგება კარგი დღე. მართალია, ლიგის უფროსობა დარწმუნებულია, რომ სპონსორები არ დაამობლებენ რუსეთის ერთ-ერთ სიამაყეს, ჰოკეის, მაგრამ...

ბოლოს კი გაეცანით ყველაზე მდიდარი გუნდების ბიუჯეტსა და მათ საშინაო მატჩებზე დასწრების მაჩვენებელს, რაც, წესით, ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს:

| კლუბი | მლნ. $ | დასწრება |
|---|---|---|
| აკ ბარსი | 20-24 | 3800 |
| ავანგარდი | 20-24 | 5450 |
| ლოკომოტივი | 15-20 | 9050 |
| მეტალურგი | 13-15 | 3200 |
| სევერსტალი | 13-15 | 3550 |

**სამველ ლარიბიანი**



ერთი წლის წინ ივან პლინკა თვით მარიო ლემიეს წვრთნიდა, ახლა ომსკშია



ვალერი კამენსკი



REUTERS მელბურნიდან

# მელბურნის თასი

უნაგირიდან პირდაპირ ხალხში ისკუპა ავსტრალიელმა ჟოკეიმ დამიენ ოლივერმა, რომელმაც ირლანდიელი მწვრთნელის, ლერმოტ ველდის გამოზრდილი „მედია ფაზლით“ მოიგო ქვეყნის უმდიდრესი „მელბურნის თასის“ რბოლა ფლემინგტონის იპოდრომზე. პრიზი 2,2 მილიონი ამერიკული დოლარია, ოლივერმა კი გამარჯვება წინა კვირაში საცხენოსნო ვარჯიშისას დაღუპული ღვიძლი ძმის, ჯეისონის ხსოვნას მიუძღვნა.

# ჰარი პოტერის სანახავად

ლონდონის „ოდეონის“ თეატრში ამ დღეებში გაიმართა პრემიერა ჰარი პოტერზე გადაღებული მეორე ფილმისა „ჰარი პოტერი და საიდუმლოებათა ოთახი“. იქ ბევრი გამორჩეული ადამიანი ტრიალებდა. იმათ შორის კი ბრიტანელი მეფორმულე პილოტი ჯეისნონ ბატონი.



REUTERS ლონდონიდან



REUTERS ვაშინგტონიდან

# აუცდა

აი, ასე გაიშხლართა ჯეისონ კიდი ბოლო წამზე ბურთის ტყორცნის შემდეგ. ბურთი აცდა, კიდის „ნიუ ჯერსიმ“ კი „ვაშინგტონ ვიზარდსთან“ მაინც მოიგო.

# ნეტბოლის გოგო

ნეტბოლი იმგვარი თამაშია, რომ ალბათ ყველა ბურთიანი თამაშის ნაწილი შეუთვისებია. იგი განსაკუთრებული პოპულარობით სამხრეთ ნახევარსფეროს ქალთა შორის სარგებლობს. იქ ნეტბოლის საქმე ნამდვილადაც რომ პროფესიულადაა დაყენებული. ცხადია, პაექრობა აქვთ ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკას, რომლებიც აფრიკულ კრაისტჩერჩში შებმულან ტესტში.

ეს ამხტარი გოგო სწორედაც რომ ზელანდიელი ირენ ვან დაიკია, მის გუნდს ორივე შეყრა მოუგია აფრიკელთათვის.



REUTERS კრაისტჩერჩიდან

# დინჯმა იმარჯვა

გასულ უქმეებზე ლას ვეგასის „ემჯიემ გრანდში“ მსუბუქი წონის ორი საოცარი კაცის, დინჯი და მაგარი მარკო ანტონიო ბარერასა და ვიჟმაჟი და მაგარი (მარცხნივ) ჯონი ტაპიას თორმეტრაუნდიანი კრივი გაიმართა. დინჯმა მსაჯთა ერთხმა გადაწყვეტილებით მოიგო.



REUTERS ლას ვეგასიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge